



იღორი



www.ilori.ge
E-mail: r.jalagania@mail.ru

№223 (282) 11-18 იანვარი 2013 წლის 30 თარიღი

ალექსანდრე ჭაჭია: ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს, ხოლო ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როლია



— თქვენ სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით განიხილეთ და განაცხადეთ, რომ პრეზიდენტი უნდა დავაგაღებულა, დაკავდეს ქართულ-ავსაზური, ქართულ-ოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემაში. ჩვენმა გახეობმა მხარი დაუჭირა თქვენს იდეას, გამოითხა უამრავი ექსპერტი და ბევრი მათგანი დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლებისგან რეაგირება არ მოჰყოლია. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ვეროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ დონისიებებში მიიღებს მონაწილეობას, მაშინ რეაქციის არჩონა ჩემს შეთავაზებაზე გასაგებია. ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ „სინეკურას“ უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტი ბევრია და მათგან ნაწილს უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას ქართული სახელმწიფოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების რეალური პასუხისმგებლობით დაავტორიანებენ, რომ ერთ-ერთ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დამკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. მე ვთვლი, რომ ქართველ ერს არ გააჩნია სურვილი და ფუნქცია, რომ ძვირადღირებული მადლიჩინოსანი უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული.

შეგარანდამე-საკაპეილის მმართველობის პერიოდში რუსეთთან, ავსაზურთან, ოსეთთან ურთიერთობების სფეროში არავითარი პოზიტიური ნაბიჯი არ გადადგმულა. პოლიტიკის ამ მიმართულებით მუშაობდნენ ყველაზე არაკომპეტენტური ჩინოვნიკები, რომლებიც პარტნიორებთან არანაირი ავტორიტეტით არ სარგებლობდნენ. ორივე ხელისუფალი ამ პრობლემების გადაჭრის მიმართ თავის აბსოლუტურ გულგრილობას ავლენდა. სააკაშვილმა კი დავისთვის ავანტიურით პრობლემა სრულ ჩიხში შეიყვანა. ახალ ხელისუფლებას, რომელზეც არც სისხლია და არც დანაშაული მიუძღვის, აქვს მცირე შანსი, გამოიყვანოს შექმნილი ვითარება ჩიხიდან. ამისთვის საჭიროა პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური ნება, პრეზიდენტის შესაბამისი ფუნქციებით დატვირთვა და ამ პოსტზე რუსული, ოსური და ავსაზური მხარეებისთვის მისაღები ადამიანის არჩევა. ეს აუცილებელია ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის. ეს აუცილებელია იმისთვისაც, რომ ივანიშვილმა ერის ნდობა შეინარჩუნოს. საქმე ისაა, რომ

ეკონომიკაში სწრაფი წარმატებები ვერ მოხდება, მიღწევათა შედარება ჯერჯერობით ამ ხელისუფლების სასარგებლოდ ვერ იქნება; სულიერ-ხნეობრივ სფეროშიც, როგორც უკვე ვისაუბრეთ, სერიოზული ძვრების იმედი არ უნდა გვქონდეს; ხმაურიანი სასამართლო პროცესების მეშვეობით, შესაძლოა, ხელისუფლების რეინტეგრის შენარჩუნება, მაგრამ დიდი ხნით — არა. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ ნდობის შესანარჩუნებლად პოზიტიურ შედეგებს უნდა მიადწიოს იმ მიმართულებით, რომელშიც წინა ხელისუფლებამ სრული კრაზი განიცადა. ეს მიმართულებაა რუსეთთან, ავსაზურთან და ოსეთთან ურთიერთობები.

— გამოითქვა მოსაზრება, რომ პრეზიდენტად ეთნიკური ავსაზი ავსაგერია. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მან განიხილა ეს წინადადება. როგორია თქვენი აზრი?

— ის ფაქტი, რომ ეს წინადადება სერიოზულად განიხილებოდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, მიგვიბრუნებს, რომ ხელისუფლებას საერთოდ არ ესმის რეალური სიტუაცია როგორც ავსაზურში, ისე ქართულ-ავსაზურ ურთიერთობებში. პირველ რიგში, ავსაზის პრეზიდენტად არჩევა მხოლოდ იმდენად, რომ იგი ავსაზია, დამამცირებელია როგორც ამ ადამიანისთვის, ისე ქართული საზოგადოებისთვისაც. მეორეც, ავსაზი, რომელიც დღეს გახდება საქართველოს პრეზიდენტი, დაკარგავს ყველა კონტაქტს ავსაზურ საზოგადოებასთან, გახდება მიუღებელი ფიგურა ავსაზურში.

საქართველოს პრეზიდენტი ქართველი უნდა იყოს, მაგრამ ქართველი, რომელიც სარგებლობს როგორც ქართული საზოგადოების, ისე ავსაზურისა და ოსების ნდობით.

— ავსაზურ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესოა თქვენი აზრი თბილისში არსებული ავსაზურის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მნიშვნელობის შესახებ. შეუძლიათ თუ არა მათ რაიმე როლის შესრულება ქართულ-ავსაზური ურთიერთობების ნორმალიზებაში?

— რა თქმა უნდა, არა. ვერანაირ დადებით როლს ისინი ვერ ითამაშებენ იმ მიზეზით, რომ ავსაზური მხარე მათ არ ავითარ შემთხვევაში არ დაელოდა კება. და არამხოლოდ იმდენად, რომ ბევრ მთაგანს ავსაზურში მომხდარ სისხლიან ტრაგედიაში ბრალი მიუძღვის. საქართველოში არის ხალხი, რომელსაც აქვთ კარგი პირადი კონტაქტები ავსაზურ საზოგადოებასთან, ავსაზურში ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობს, მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი დაიკავებს ოფიციალურ თანამდებობას ავსაზურის სტრუქტურებში თბილისში, მაშინ ყველა კონტაქტი მასთან შეწყდება. ეს რეალობაა და იგი უნდა გაითვალისწინოთ. საერთოდ კი, რა თქმა უნდა, ამ სტრუქტურებს მომავალი არ გააჩნია.

— სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და მსოფლიო პატრიარქის შესვედრის შემდეგ ქართული ეკლესიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უახლოეს მომავალში შედეგები იქნება მცირე ვიზიტი ავსაზურში. რამდენად რეალურია ეს?

— ეს არარეალურია, არავითარი ვიზიტი არ იქნება. სამწუხაროდ, ჩვენი ეკლესია, ისევე, როგორც სახელმწიფო ხელისუფლება, ყოველთვის იგვიანებს თავისი ინიციატივებით, რითაც პრობლემას ჩიხში აქცევს. ასეთი ვიზიტი სხვა მეთოდებითა და სხვა ხალხის დახმარებით უნდა მომზადდეს. და ამ მიმართულებით მუშაობა არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, არამედ ავსაზური საზოგადოების შიგნით უნდა ხდებოდეს.

— ვინ უნდა იმუშაოს? ახალი ხელისუფლების საკადრო პოლიტიკა დიდად არ განსხვავდება „ნაციონალების“ პოლიტიკისგან, რის გამოც საზოგადოებაში შიგნით

ნევა უკიდურესი უკმაყოფილება როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე მთავრობის შემადგენლობის ხარისხით...

— დიხ, ბოლო 20 წლის მანძილზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში არ არიან ჭკვიანი, ერუდირებული, ეროვნული სულით გამჭვრედილი პროფესიონალები. რამდენიმე წლის წინ რუსეთის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მითხრა: ვიცნობდი და ვიცნობ ბევრ უაღრესად განათლებულ, წარმოსაღვე ქართველს — როგორც სუფთა ინტელექტუალებს, ისე ორგანიზატორ-პრაქტიკოსებს; მითხარი ერთი, ვისგან ვაღიბებდა ქვეყნის პოლიტიკური ელიტა, თქვენი უმაღლესი ჩინოვნიკების კორპუსი, სადა პოულობენ ასეთ გონებაშეზღუდულ და უფერულ ხალხს? მე ვუპასუხე, რომ, ჯერ ერთი, მათ შორის ცოტაა ქართველი, და მეორე, მათ პოულობენ და აწინაურებენ ამერიკელი კურატორები, ქართველი ხალხის აზრს და სურვილს ამ საქმეში არანაირად არ ითვალისწინებენ. ამასთან ერთად, უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეული პროგრესი მაინც არის: თუ დავ გერცხვენილ საჯარო პირების 95 პროცენტის გამო, დღეს ამ გრძობას 60-70 პროცენტის მიმართ განვიცდით. ვნახოთ, შეიძლება დროთა მანძილზე სიტუაცია უკეთესი გახდეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოების მოლოდინი ძალიან გადაჭარბებულია. კრსუნდ ავსაზური უპირველესი ყოველისა, საკადრო პოლიტიკაში, და იგი უკვე იგივეებს, როგორც ხალხი იყო ხელმძღვანელობაში სულ ცოტა ხნის წინ. პრეზიდენტი წარადგენდა მთელი 23-25 წლის ბიჭს ან ვაგონას სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელის პოსტზე, იტყობა, რომ ეს „გამოდილი“, „ძალიან ძლიერი პროფესიონალი“, ამ უწყების თანამშრომლები მას ტაშს უკარგვენ, საზოგადოება კი დუმდა. ვახსენებ, რომ თბილისელებს მერად ჭაბუკარიშვილი დაუნიშნეს და კლავის საზოგადოება მას „ბატონობით“ მიმართა; თავდაცვის მინისტრად კეხერაშვილი და შაშკინი დაინიშნენ და გენერლები მათ პატივით ხელგებდნენ. ვახსენებ სხვა მინისტრებიც, გუბერნატორებიც, მერებიც და მიუხედავად ყურადღებისა: ეს ისეთი ადამიანები არიან, რომლებიც, დაკარგვენ თუ არა თანამდებობას, არაობად იქცევიან. მათ არ გააჩნიათ არც შესაფერისი პიროვნული თვისებები, არც საზოგადოებაში საკმაოდ ავტორიტეტი საიმიხოდ, რომ თანამდებობის დაკარგვის შემდეგ დაჩნდნენ პატივსაცემი პიროვნებად ქვეყანაში ან ქალაქში. მათ ეს კარგად ესმოდათ, ამიტომაც ერთგულად ემსახურებოდნენ პატრონს და პარაფულურად ცდილობდნენ დაეგროვეს იმ პირადი კაპიტალი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ უზრუნველად ცხოვრებისთვის. ზოგ ხელისუფალს ხელს აძლევს ასეთი, სრულიად მასზე დამოკიდებული ხალხი, მაგრამ ეს ხელისუფლებას ავტორიტეტს არ ჰმატებს და ბოლოსდაბოლოს მთავრდება რეჟიმის კრაზით.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრების შერჩევის ასეთივე პრინციპით ხელმძღვანელობს...

— შესაძლოა, მაგრამ მაინც მდგომარეობა გაუმჯობესდა. მაგალითად, აღვრ მე ვერ ვუყვარები ტელევიზორს: მრცხვენოდა საქართველოს გამო, ჩემი ხალხის გამო, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიოდნენ. დღესაც ხშირად მინდებდა უზრუნველობის გრძობა, მაგრამ, მცირე გამონაკლისის გარდა, არ მაწუხებს მწვავე სირცხვილის განცდა.

— და ვინაა ეს მცირე გამონაკლისი?

— მაგალითად, სავარჯიშო საქმეთა მინისტრი. და საქმე ის არაა, რომ იგი არც ერთი პარამეტრით არ შესაბამება სადღეისოდ ესოდენ მნიშვნელოვან თანამდებობას. გავიდვ, როგორ განაცხადა მან, რომ მისთვის სტალინი და პიტაგორს ერთნაირი ბოროტებაა. ასეთმა უფიცობამ,

ასეთმა ცინიზმმა, აზროვნების ასეთმა დაბალი დონემ, უბრალოდ, გამაოგნა! მან არამხოლოდ ისტორიის და ადამიანური მორალის საკითხებში სრული უმეცრება გამოავლინა, არამედ საკუთარ ხალხს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებს, ყველაზე დამსახურებულ თაობას, დიდი სამშელო ომის ვეტერანებს შეურაცხველ მიავსა. ნორმალურ სახელმწიფოში ასეთი თავხედური განცხადების შემდეგ მინისტრი თავის პოსტზე ადარ დატოვდა. მისი ადგილი არა მთავრობაში, არამედ იმ მაიმუნებს შორისაა, რომლებიც გორში სტალინის დაცემული ძეგლის ფონზე პოზირებდნენ. საოცარია, რომ ეს გურამ ფანჯიკიძის კალიშვილია. მე ვიცნობდი მამამისს, მასსოვს, როგორ მოდიოდა ხოლმე დავით ჩხიკიშვილთან და მოჰქონდა ახალი, სადაც აღმოჩენილი მასხალი სტალინი, რომლებიც ამ დიადი ადამიანის გენიალურობას ამტკიცებდა. მე არ ველოდი მისი ქალიშვილისგან ასეთ უზრდელობას, უკულტურობასა და პრემიტივიზმს.

— ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა, რომელიც ქართულ საზოგადოებას აწუხებს, უცხოელებზე მიწების გაყიდვაა. არსებობს მოსაზრება, რომ გაყიდვის მასშტაბები უკვე თავად ჩვენი ერის არსებობას ემუქრება.

— ეს სწორი მოსაზრებაა. თუ გასოვთ, მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგი ვიყავი ყოველთვის, მომავალი მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მხარეში გაებნენ, ვარწმუნებდა საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვეთრი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ვეროპას გვინდა“, უნდა ვიყოთ ცივილიზებული. მითავი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქრავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არ წმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და განზარებული გლეხობა გამოჩნდებოდა ეთიუზიანით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაზად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი. საინტერესოა, რომ თავად გლეხები სხვა არისანი იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ნამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ. მასსოვს ტელეკორპორაცი კახეთიდან, რომელშიც უზრუნველდება ჰკითხა მოხუც გლეხს, რას გააკეთებდა იგი, როდესაც მიწას საკუთრებაში მიიღებდა. მან დაღონებულმა შეხვდა და უპასუხა: „გავიფი, შელო, თუ ვინმე იყიდის. რით ან როგორ დავამუშავებ?“

ჩვენს „ცივილიზებულ“ ექსპერტებს არ ესმოდათ, რომ თავად მიწა გლეხისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ღირებულებას წარმოადგენს მოსავალი და მისი რეალიზაციის შესაძლებლობა. ხოლო მოსავლის მისაღებად მიწა უნდა დაამუშავო, ამისთვის საჭიროა შესაბამისი ტექნიკა, საწვავი, სასუქი და ა. შ. თუ ეს ყველაფერი გლეხს არ გააჩნია, მაშინ მიწაც არ სჭირდება და იგი ეცდება მის გაყიდვას; ხოლო მცირემშენი საქართველოს პირობებში ეს ნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ჩვენი ერი დაკარგავს საკუთარ მიწაზე უფლებას.

ალექსანდრე ანჭავაძე: უმთავრესია სიკეთე. ვზომავთ შურს, სიბოროტისა და სიკულვითს

ბატონო ალექსანდრე, საკმაოდ დიდი დრო გავიდა, რაც არჩევნებში გამარჯვებით და ქვეყნის პრეზიდენტი გახდით. თქვენ უკვე რამდენჯერმე შეაჯამეთ თქვენი მოღვაწეობის გარკვეული ეტაპები. ახლაც გვაინტერესებს, რა ამოცანები დაინახეთ შესასრულებლად, რა პრობლემები არსებობდა, რომელთა გადალახვაც შესძელით და ახლა როგორ პრობლემებთან გიწვეთ გამკლავება?

2005 წლიდან უშუალოდ ვიღებდი მონაწილეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ბევრი რამეების შეცვლა არ დაჩქარებია, რუსეთის მიერ ჩვენი დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგაც კი. ყოველდღიური სამუშაოებით ვარ დაკავებული, ვცდილობ დროს ჩაწვდევ პრობლემებს არსს, რათა ვგრძობდე აფხაზეთის თითოეული მოქალაქის გულსთქმას. პოლიტიკოსი უპირველესად საკუთარი თავისა და სინდისის წინაშე უნდა იყოს უმწიკლო და პატიოსანი, რათა მაქსიმალურად სასარგებლო გახდეს თანამოქალაქეებისათვის. რითი სულდგუშალობს დღეს აფხაზეთი? არა მგონია, არ იცოდეთ, თუ როგორი პრობლემების წინაშე დგას ხოლმე ახლადმოგადარებული ქვეყანა. უკვე ოცი წელია, რაც ეს ომი დამთავრდა, მაგრამ აფხაზეთში დღესაც ისმის ომის ექო. შედეგები მართლაც მიიხედავს, რის გამოც მეც და ჩემი გუნდის წევრებიც ყოველდღიურად ვაწვდებით აფხაზეთის მოსახლეობის წინაშე წამოჭრილ პრობლემებს.

სოფლების დიდი ნაწილი საძირკვლამდე იყო დაზარალებული. ჩვენ ბევრი ოჯახი გვეყავს, რომელმაც ომში უკანასკნელი მარხვანადი დაკარგა, მრავალი მათგანი დახეობდა, რამაც, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე აღდგენით პროცესებზე. აფხაზეთში კარგად იცის, რა არის ბლოკადა, განსაკუთრებით 1996 წლის შემდეგ, როცა 16-დან 60 წლამდე ასაკის მამაკაცებს ქვეყნის ტერიტორიის დატოვების უფლება არ ჰქონდათ. ძალიან ძნელი იყო თუნდაც ელემენტარული ეკონომიკური

კავშირების დამყარება. გვქონდა პერიოდი, როცა საბიუჯეტო ორგანიზაციით თანამშრომლები პრაქტიკულად უხელფასოდ, რამდენიმე ნაჭერი პურის ფასად მსახურებდნენ ქვეყანას. ახლა, როცა ვისწავებთ 7-8 წლის წინ არსებულ მდგომარეობას, რა თქმა უნდა, დადებითი ცვლილებები ხახვება და მნიშვნელოვნად გაიწიეთ წინ! გაიზარდა ბიუჯეტი და ცხოვრებაც მეტად მიმხიდველი და საინტერესო გახდა. ამიტომაც შევცქერით მომავალს დიდი იმედებით!

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთმა აღიარა აფხაზეთი. სხვა ქვეყნებმა არ იჩიარეს, რომ ამ აღიარებას მიმხრობდნენ. ნუთუ აფხაზეთი უფრო ნაკლებად იმსახურებს დამოუკიდებლობას, ვიდრე კოსოვო?

2008 წელი გარდამტეხი აღმოჩნდა და მოხდა ის, რასაც დიდი ხანი ელოდა აფხაზი ხალხი. ამან კი ძირეულად შეცვალა ჩვენი ისტორია – რუსეთი ამჟამად ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა. ის, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ცოტა სახელმწიფომ აღიარა, სულაც არ გვაძლევს ხელს ჩამოშვების უფლებას. ჩვენ არსად მიგვეჩქარება და არც არასოდეს შეგვიდარებია ჩვენი ბედი კოსოვოს, ან სხვა სახელმწიფოსათვის. ჩვენ მოვიპოვეთ თავისუფლება და მას ვეღარავინ წაგვართმევს. დიას, მსოფლიოში არსებობენ ორმაგი სტანდარტები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობას მომავალში კიდევ ბევრი სახელმწიფო აღიარებს.

რატომ არ სურს, თქვენი აზრით, მსოფლიო თანამეგობრობას აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის აღიარება?

მე შეეხება საქართველოში აკრედიტებულ უამრავ დიპლომატს. იყო დრო, როცა ისინი ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან. ვუკითხებოდი, რითი ვიყავით სხვა ქვეყნებზე ნაკლები, მაგრამ მათგან ვერასოდეს მივიღე გულწრფელი პასუხი. ვიცი, რომ დიპლომატები მათი ქვეყნების ხელისუფლების პოლიტიკის გამტარებლები არიან და მათ გარკვეული ინტერესები გააჩნიათ ჩვენს რე-

გიონში. და ეს ინტერესები ხშირად დგანან უფლებათა მადლად, მათ შორის, თვითგამორკვევის უფლებათა მადლად.

2012 წლის თებერვალში თქვენზე განხორციელდა თავდასხმა. თუ გაიხსნა ეს დანაშაული. ვის უშლის ხელს აფხაზეთის ახლანდელი პრეზიდენტი?

დანაშაული გახსნილია, დაპატიმრებულები არიან დანაშაულში ეჭვმიტანილები, მიმდინარეობს გამოძიება. არ მინდა ამ პროცესებში ჩარევა და, ამიტომ, თავს შევიკავებ კომენტარებისგან! ხელს ვის ვუშლი? ალბათ ვიდაცას ხელს არ აძლევს აფხაზეთში მდგომარეობის დასტაბილურება და კანონების მორჩილებაში ცხოვრება, მაგრამ თუ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცვანთ, მაშინ კეთილი უნდა ვინებოთ და კანონმორჩილები უნდა გავდეთ. აქ არაფერ შუაშია ჩემი პერსონა – მთავარია, რომ მოხდა თავდასხმა სახელმწიფო ინსტიტუტზე და დანაშაულები უნდა დაისაჯონ.

როგორია აფხაზეთზე გამგალი სარკინიგზო ხაზის აღდგენის პერსპექტივა?

ამ თემით მრავალი ვინმე საუკულობს როგორც აფხაზეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. დღეს მხოლოდ ის შემოქმედია ვთქვა, რომ ჯერჯერობით ამის პერსპექტივა არ ჩანს. საქართველოს ახალ ხელისუფლებას არ გადაეფიქრებინა ამ მიმართულებით ქმედითი ნაბიჯი. ენახთ, მომავალში როგორ განვითარდება მოვლენები.

როგორია ეკონომიკური მდგომარეობა აფხაზეთში? როგორც ვიცი, აქ ფეხს საკმაოდ მძლავრად იკიდებს თურქული ბიზნესი. როგორი რეაქცია აქვს ამაზე რუსეთს?

ეს საკმაოდ დამახინჯებული წარმოდგენა გახლავთ – ყველაზე მჭიდროდ ეკონომიკური კავშირები ჩვენ რუსეთთან გაგვაჩნია, საიდანაც შემოვიღებთ ძირითადი დახმარება. სამწუხაროდ, თურქეთთან, სადაც ჩვენი უამრავი თანამემამულე ცხოვრობს, ჩვენ ჯერ კიდევ სუსტი ეკონომიკური კავშირები გაგვაჩნია. ეს კავშირები ახლა თანდათან ძლიერდება – ადრე ჩვენ

თურქეთისაგან მხოლოდ ბენზინს და რამდენიმე სახის სახალო მოხმარების საგანს ვყიდულობდით. რუსეთში ამას გავებით ეყიდებიან. ამჟამად თურქეთიდან შემოვკეცხ საამშენებლო მასალები, მაგრამ ამ საქონლით ვაჭრობას არა აქვს მასშტაბური ხასიათი. ჩვენ მივესალმებით ყველას, ვინც აფხაზეთში ინვესტიციებს შემოიტანს.

რა არის ქვეყნის ბიუჯეტის შეგების ძირითადი წყარო?

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ გვაქვს განვითარებული მრეწველობა და ბიუჯეტის შეგება ძირითადად ფისკალური პოლიტიკის ხარჯზე ხდება. საგადასახადო სამსახურს ქვეყნის ბიუჯეტში ყოველწლიურად შეაქვს 1 მილიარდი რუბლი, 500-600 მილიონ რუბლს თავს უყრის საბაჟო სამსახური. ჩვენ კარგად ვიცი, რომ აუცილებელი წარმოების ფესზე დაყენება, რისთვისაც აუცილებელია სოფლებში მზარდი ინვესტიციების შეტანა. აფხაზეთი პრაქტიკულად აღარ აღარმოგვს საკუთარ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, როგორც არ უნდა ვაქით ჩვენი კურორტები, აფხაზეთი ყოველთვის ითვლებოდა აგრარულ რეგიონად, რომელსაც ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადაუმშავებელი საკმაოდ ძლიერი ბაზა. ეს ყველაფერი, რაც შეიძლება სწრაფად, თავიდან უნდა აღვადგინოთ – დღეს შეუძლებელია ტურისტებისა და დამსვენებლების კება მხოლოდ კარტოფილით, პომიდვრითა და ხილით. ჩვენს მოქალაქეებს სჭირდებათ სოციალური და სამედიცინო მხარდაჭერა, რადგან ქვეყანაში დიდია ონკოლოგიური და გულის სისხლძარღვთა დაავადების მქონე ხალხის რიცხვი, მათი მკურნალობა კი საკმაოდ დიდ ხარჯვითანაა დაკავშირებული.

რა უშლის ხელს აფხაზეთში ინვესტიციების შემოდინებას?

ფულს სიმშვიდე უყვარს. თუ ჩვენ შევძლებთ ინვესტიციებისთვის უსაფრთხოების გარანტიების შემანახვას, ინვესტიციებსაც სწრაფად გაეხსნება გზა. ჩვენ უკვე ვმუშაობთ ამ პრობლემებზე... აშსნი პრესი

НАШИ ПРЕДКИ ЗАВЕЩАЛИ НАМ ВЕКОВОЕ БРАТСТВО!

В результате бессмысленной, инспирированной извне войны, сегодня грузины и абхазы живем вдали друг от друга.

Не пора ли образумиться, вспомнить прошлое, нашу историю, когда вместе боролись и проливали кровь против поработителей. Для удостоверения этого факта, могут называть борьбу против турок у Налимы, территорию Зугдидского района села Коки. Сегодня на этом месте в знак увековечения памяти погибших абхазов и грузин стоит обелиск.

Довоенные времена (1993) в Гальский район постоянно приезжали руководящие работники автономной республики, были деловые и дружеские встречи. Мы, руководители района всегда ощущали искреннюю поддержку первого секретаря обкома партии Бориса Адлейба, председателя Совмина Иузы Убилава, председателя Президиума Верховного Совета Валериана Кобахия и других руководителей Абхазии. Не могу не отметить теплые отношения первого секретаря Гудаутского райкома партии Константина Озгана и первого секретаря Гальского райкома партии Шота Шارانгия. Не забыть мне полные слез глаза Константина Константиновича и как он переживал смерть Шота Шارانгия, эти минуты никак не сотрутся из моей памяти. Только хорошие воспоминания связывает меня с бывшим председателем Гудаутского Раисполкома Саидом Таркилом.

Дружба связывала нас с Джонни Губазом, Энвером Капба, Борисом Тарба, Валерием и Дато Пиля, Вячеславом Цугба, Сергеем Багашем, Владимиром Авидзба, Шалоди Аджинджалом, Тамари Когония, Пач Барнином, Юрием Аршба и многими, многими другими.

Очень часто приезжали в Гальский район народный поэт Абхазии Баграт Шинкуба и другие писатели, работники культуры и представители науки.

Помню, с каким сердечным вниманием от-

носился Борис Адлейба к открытию Дома-музея академика Ильи Веква в селе Шешелети.

Общезвестно абхазское гостеприимство. Я работал председателем колхоза в селе Чхортл, Гальского района, где проживало до ста семьи абхазской национальности. Я часто бывал в их семьях, принимал хлеб-соль. Моя бабушка была абхазка Харчилаа – родом из Ткварчал. Сегодня у меня большие родственные связи со многими абхазскими семьями. Мои родители прекрасно владели абхазским языком. Думаю, не повредило и нам, родившимся в Абхазии, изучение этого языка.

Как больно, что из-за бессмысленной войны нам приходится жить (пока) не вместе. Что не поделили мы коренные жители Абхазии? Наверное, обе стороны не оказались дальновзоркими, что и привело к кровопролитию и общей трагедии.

Наши предки завещали нам вековое братство и родство, а зачинчикам войны Бог воздаст и должное!

Этот снимок сделан в 1982 году, на территории Чубурхиндского чайного совхоза Гальского района, недалеко от ингульского моста, во время приезда руководителей Абхазской автономной республики, где сегодня кончается «Граница» между Грузией и Абхазией, там возведен КПП, стоят танки и Бе-те-еры.

На снимке слева направо: Павел Квачахия, Шота Шакаия, Вилан Алавидзе, Тамаз Хубуа, Валериян Кобахия, Сергей Багаш, Хута Гергедава, Иуза Убилава, Юрий Какава, Борис Адлейба, Рамин Кецабия, Шота Шارانгия, Уча Чакаберия, Владимир Миканба, Отар Зухбаия, Комошвили, Александр Москаленко.

ЮРИЙ КАКАВА, Бывший председатель Гальского райсполкома



აფხაზეთის დედაქალაქმა დაამობილები სელემპრულება ბააფორმა თურქეთის ქალაქ სიღისტან



აღნიშნულ სელემპრულებას ქალაქ სოხუმში ხელი მოაწერეს აფხაზეთის დედაქალაქის ადმინისტრაციის უფროსმა ალიას ლაბაზუამ და თურქეთის ქალაქ სიღეს მერმა აბდულკადირ უჩარმა.

“დედუნადელი დღე უადრესად მნიშვნელოვანია აფხაზეთისა და თურქეთის ურთიერთობათა ისტორიაში” – განაცხადა ქალაქ სიღეს მერმა ორ ქალაქს შორის დამობილების ხელშეკრულებაზე საზეიმო ვითარებაში ხელის მოწერის შემდეგ.

მისი შეფასებით, ქალაქები სოხუმში და სიღეს რაღაცით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. “სოხუმის, როგორც მჭიდროდ დასახლებული ქალაქის ასაკი 2500 წელს მითითების. დაახლოებით ამ ასაკისაა ქალაქი სიღეს. ორივე ზღვისპირა საკურორტო ქალაქები არიან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სოხუმი აფხაზეთის დედაქალაქი გახლავთ, სიღეს კი თურქეთის ერთ-ერთი მოკრძალებული ქალაქია.” – განაცხადა აბდულკადირ უჩარმა. მაღალმა სტუმარმა მადლობა მიუძღვნა აფხაზ მასპინძლებს თურქეთის დელეგაციის წევრების თბილი მიღებისა მათ მიერ გამოჩენილი დიდი ყურადღებისათვის.

მიესალმა რა სტუმრებს, სოხუმის მერმა ალიას ლაბაზუამ აღნიშნა, რომ სიღეს თურქეთის არა მხოლოდ ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქია, არამედ ასევე ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია, რომლის მდიდარ წარსულს ჯერ კიდევ შეისწავლიან მსოფლიოს ცნობილი მეცნიერები.

“ჩვენს ქალაქებს მეტად მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნიათ, რაც იქცა კიდევ სოხუმისა და სიღეს დამობილების ქვაკუთხედად, – აღნიშნა ლაბაზუამ, – დღეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა აფხაზეთისა და თურქეთის შემდგომი დაახლოების საქმეში, რაც მომავალი წარმატებების საწინდარი გახლავთ!” ბატონ ალიას ლაბაზუას აზრით დამობილებული ქალაქები სოხუმში და სიღეს განამტკიცებენ ამ ორ ქვეყანას შორის კულტურულ, ეკონომიკურ ურთიერთკავშირებს და განავითარებენ ურთიერთთანამშრომლობას ტურისტების სფეროში, რაც მეტად მნიშვნელოვანი შემადგენელი გახლავთ როგორც მადალგან-ვითარებული თურქეთისათვის, ასევე განვითარების გზაზე დამდგარი აფხაზეთისათვის.

თურქეთის დელეგაციის შემადგენლობაში ნართული გახლდათ კულტურისა და ხელოვნების ყოველწლიური ფესტივალის ხელმძღვანელი რემზი ბახარალი. მან აშსნი პრესის კორნალისტთან საუბარში განაცხადა, რომ აფხაზეთის ხელოვნებისა და კულტურის წამომადგენლები მიწვეული არიან აღნიშნულ ფესტივალზე, რომელიც უკვე 12 წელია ტარდება, დასვენების სეზონზე – ივლისიდან აგვისტომდე.

“ამ უადრესად ავტორიტეტულ საერთაშორისო ფესტივალში სისტემატურად მონაწილეობენ კულტურისა და ხელოვნების სახელგანთქმული წარმოდგენლები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, – ხაზგასმით აღნიშნა რემზი ბახარალიმ, – ღონისძიება ერთ თვეს გრძელდება. სწორედ ამ ფესტივალზე ვიწვევთ ჩვენს აფხაზ კოლეგებს!”

რემზი ბახარლის განმარტებით ქალაქ სიღეს ყოველწლიურად 3 მილიონამდე დამსვენებელი და ტურისტი სტუმრობს ევროპიდან და სხვა კონტინენტთა ქვეყნიდან და ისინი დიდი სიამოვნებით ესწრებიან ფესტივალს. სწორედ ამიტომ გახლავთ ქალაქი სიღეს გამორჩეული ადგილი თურქეთის საკურორტო ინფრასტრუქტურაში.
წარმატება ვუსურვოთ აფხაზ მებს!
აშსნი პრესი

ალექსანდრე ჭაჭია: ქართული მიზა ეკუთვნის ქართველ ერს,

სოლო პერი მხოლოდ დევანდელი თაობა როდია

(გაგრძელება 1-ლი გვერდიდან)
საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, მათ შორის მეც, უკმაყოფილო იყო ეკლესიის პასიურობით, მისი გადაწყვეტილებით...

რჩება მოწინავე პოზიციებზე. მთელი გულით მივესალმები სასულიერო პირების ასეთ საზოგადოებრივ აქტიურობას...

ეროვნულად და პატრიოტულად ორიენტირებული, დრამა მორწმუნე მართლმადიდებლობის მსახურები, რომლებიც მზად არიან, თავი გაწეონ...

პარლამენტის მშენებლობაზე ლონდონის საგონდო ბირჟაზე გამომავალი ოკლიბაციებით მოზიდული თანხაც დაიხარჯა

ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა მზად არის. ღამაშა თორდას უწყების მიერ მომზადებული დოკუმენტი...

ფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან.
“სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ ფინანსთა სამინისტროსგან მიიღო 17 697 109 ლარის სესხი...



პარლამენტის შენობის მშენებლობის პროექტის დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების პროექტით გათვალისწინებულ ხარჯებთან შედარება.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლა რთული, მაგრამ პრინციპული ბრძოლის შედეგად მოახერხა, მაგრამ უფრო რთულ და ეკლიან გზას „კოპიტირების პრინციპით“...

პენსიები გაიზარდა;
- მთავრობის გადაწყვეტილებით სასკოლო სახელმძღვანელოები ყველა მოსწავლეს დაუბრუნებდა უფასოდ;
- თბილისში დენის და ნაგავის გადასახადი ერთმანეთს „დაშორდა“;
- ტელეკომპანია „იმედი“ დაუბრუნდა პატარკაციაშილების ოჯახს;
- წინა ხელისუფლებიდან განსხვავებით ახალი მთავრობა მკლავად აკონტროლებს, ქვეყანაში აღდგა სიტყვის თავისუფლება;
- ამოქმედდა სოფლის მეურნეობის შეღავათიანი სესხები;
- ქვეყანაში 50%-ით შემცირდა კრიმინალის რიცხვი. (მიუხედავად იმისა რომ „ნაციონალური“ პროპაგანდა ცდილობს რეალურად საწინააღმდეგო კუთხით წარმოაჩინოს);
- ამოქმედდა საყოველთაო დახვეწის პაკეტი;
- ინტენსიური გამოძიების რეჟიმშია უვანია, გირგვლიანის, რობოქიძის, ლაფანაშვილის

დღემდე მონოპოლიას სააკაშვილი ფლობდა და მას საშინაო პოლიტიკაში საკუთარი ინტერესებისთვის იყენებდა. მაგრამ ვეროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე ბიძინა ივანიშვილის სიტყვით მოსოფლის შემდეგ ბევრი რამ ვეროპელთა განწყობებში შეიცვალა. აღსანიშნავია რომ ივანიშვილმა თავისი პრინციპულობით პოლონელი გირვისკინარი ვეროპარლამენტარებს შეცემის ალიარებისკენ უბოძა. ცნობისთვის, ზიზენევი გირვისკინ ბიძინა ივანიშვილს ვეროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე კითხვის დასმისას შემდეგ ტექსტით მიმართა:
- „თქვენ არ გიყვართ თქვენ ქვეყნის პრეზიდენტი სააკაშვილი, მაგრამ მე ვყვარებ, რომ თქვენ ძალიან გიყვართ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი“.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პოლონელი დეპუტატის ამ არასერიოზულ და ვეროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისთვის შეუფერებელ კითხვას ძალიან კორექტულად და დიქციონირებულად გასცა პასუხი: „პოლიტიკა არ უნდა იყოს პიროვნებების სიყვარული აგებული. მთავრობის მეთაურს, პირველ რიგში, უნდა უყვარდეს საკუთარი ქვეყანა და ცდილობდეს, ყველაფერს თავისი სახელი დააჩქაროს.“

ქენჯნა ივანოვი და ზიზენევი გირვისკინ სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ დაწერა, რომ მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის დასმული შეკითხვა ქართული დეკლარაციის წერებთან, ჩიორა თაქ-თაქიშვილიდან და თინათინ ბოკუჩავასთან შეთანხმდა. ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა ნაციონალურ კულტურაში „საერთაშორისო საზოგადოების სახელით“ მათი დაქირავებულ-მოსყიდული პოლიტიკოსების განცხადებით რომ შემოიფარგლება და ქვეყნის იმიჯის საზიარო ქმედებას რომ წარმოადგენს. სწორედ „ნაციონალურების“ ასეთი საბოტაჟური და ანტისახელმწიფოური პოლიტიკა დღის წესრიგში აყენებს მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში საპრეზიდენტო არჩევნებთან ერთად ვალდებული საპარლამენტო არჩევნების ჩატარების საკითხს.

აფეთქვით დასრულებული მომავლის მშენებლობა

ზურაბ ჯაბაშვილი, პუბლიცისტი, პოლიტოლოგი

დაღლილი მებობრის ტკივილიანი ღიმილი



ფელიქს დანელიას გახსენება დაბადების 80 წლისთავის დღეს

უცნაური ღიმილი იცოდა – მოკრძალებული, ალერსიანი, მაგრამ უაღრესად ტკივილიანი. 10-11 წლისანი ვიყავით, როცა პირველად შეხვდით. მისი გამორჩეული ღიმილი მაშინ შევაქანე და, ბოლოსავე, როცა საშუალოდ გამოვეთხოვე, ასევე ჩამრჩა გონებაში.

გავიცანი თბილისში – ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პრობაგანდის სახელში, რომელიც თავდაპირველად დედაქალაქის რკინიგზის ერთ-ერთ სკოლას იყო შეკედლებული, შემდეგ კი პლესანოვის გამზირზე მხოლოდ ამ მიზნით აგებულ არც თუ მოხარული და პომპეზურად მდიდრულ, მაგრამ უაღრესად მიმზიდველ შენობაში ჩასახლდა.

ფელო ყოველთვის ზესტაფონის რკინიგზის სკოლის „წარმომადგენელი“ იყო, მე ხან ქუთაისის, ხან სოხუმის, ხან გურჯაანის, ბოლოს კი ისევ ქუთაისის – მოკლე, ყველა იმ ქალაქისა, სადაც მამას სადლოკომოტო დეპოს უფროსად გადაიყვანდნენ და მისი ოჯახის მთელ შემადგენლობას ორთქლმავალზე მიმზიდული ვაგონებით წავიყვანებოდა.

ერთმანეთი გაგვაცნო მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პრობაგანდის სახლის დირექტორმა, ბატონმა ჟორა კირთაძემ, დაგვაახლოვა უაღრესად ღამაზმა და დედობრივად ალერსიანმა მანდილოსანმა თალიკო იშხნელმა, რომელიც მხატვრული აღზრდის სახელში ლიტერატურის წრეს ხელმძღვანელობდა.

დამეგობრებით კი ცოტა მოგვიანებით დაგვაიგორბრა ამავე წრის ერთ-ერთმა პედაგოგმა, ხუთი-ექვსი წლით წევრზე უფროსმა გოგი ჩიქობავამ – დიდი გალაკტიონის უახლოესი მეგობრის, ცნობილი წიგნის – „ასი ლექსი“ შემდგენლის – ბენო ჩიქობავას ერთადერთმა ვაჟმა. მასზე ბაღლებმა ყურიდან ყურში გადაჩურჩულებით ვიცოდით, რომ ციხიდან სწორედ ჩვენმა სათაყვანო გალაკტიონმა გამოიყვანა.

– ბიბიკოებო, არ დამღუპოთ, ჩემი სტილისტი და თანაშემწეა და ვე რომ არ მყავდეს, არაფერი მეშველება. აპატიეთ, შემთხვევით შავი ხალათი რომ ჩაუცვამსო... — უთხრია „სტუდენტო შეხსენებების მოძრაობაში“ მონაწილეობის უმძიმესი „პოლიტიკური“ ბრალდებით დაჭერილის გათავისუფლება.

X X X

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩემი და ფელიქსის გზები გაიყარა. მედლოსნები ვიყავით და არჩევანი დიდი გეჭონდა – საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქალაქში, რომელ უმაღლეს სასწავლებელშიც მოესურვებოდა, იქ შეგვეყო უგამოცდოდ მოხვედრა. **ფელო** უაღრესად პრესტიჟული—ლენინგრადის ფერადი ლითონების ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ყოველ შემთხვევაში ასე ვიცოდი, ვიდრე იმ დღეებში, როცა გაზეით „თბილისი“ შეიქმნა, რედაქციის დერეფანში შემთხვევით არ შეხვდით.

– კი, ნამდვილად ვიყავი ჩარიცხული, — მითხრა, — მაგრამ პირველ სექტემბერს რექტორმა გამომიძახა და გამაფრთხილა, „**ფელიქს დომენტიევინ, იმედია გამიგებ... ჩვენ ფერადი ლითონების სპეციალისტებს გამზადებთ, თქვენ კი რეპრეზირებულთა შვილი ხართ, დედაც და მამაც ტროცკისტები გყოლიათ**“... **X X X**

„გაუგო“. თანაც, რადგან თავისი უაღრესად მოკრძალებული ბუნების გამო საქართველოში დაბრუნება მოეროდა, ფილოლოგიის ფაკულტეტი ლენინგრადში დაამთავრა.

გაზეით „თბილისის“ იმდროინდელ ხელმძღვანელისავე „გაუგო“, რა მიზეზით და ვისი დავალებით უთხრეს უარი სამსახურში მიღებაზე იმის მიუხედავად, რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტიური შტატგარეშე მუშაკი, ამასთან ბრწყინვალე მთარგმნელი იყო. იმ პერიოდში კი „თბილისი“ ორენაზე – ქართულად და რუსულად გამოდიოდა და ფელიქსის მსგავს სპეციალისტებს სანთლით ეძებდნენ.

თავისი ჩვეული ღიმილით – მოხატრუ-

ბული, ყველაფრის გამგებიანი და მიმტვერებელი კაცის ღიმილით დაშორდა გაზეითს და ასისტენტად დაიწყო მუშაობა საქართველოს ტელევიზიაში.

სხვა გზა არც ჰქონდა – შინ უმცროსი ძმა – თამაზი ელოდებოდა და ქერივი დედა ბაბო ჭაჭიაშვილი – ოცდახუთდღეეტი წლამდე საბავშვო ჟურნალ „პიონერის“ მთავარი რედაქტორი – ციხიდან სულ ორთხელ დღის ჩამოსული, რომელსაც მაშინ სამსახურსა და პენსიას არავინ ადირსებდა.

X X X

1979 წლის გაზაფხულზე, როცა გაზეით „თბილისში“ ოცდაერთი წლის მუშაობის შემდეგ საქართველოს ტელევიზიაში გადასვლა შემომთავაზეს, **ფელო** უკვე ცნობილი ტელეჟურნალისტი და მთავარი რედაქტორი იყო. მე განყოფილების გამგედ, ამავდროულად მის მოადგილედ დამნიშნეს და თუ ახალ, თანაც უაღრესად დიდ, ამასთან ურთულეს კოლექტივთან შერწყმა არ გამჭირვებია, ამაში ლომის წვლილი ჩემს ფელიქსს მიუძღვის. სწორედ მას უნდა ვუმადლოდე, რომ ტელევიზიაში ერთობლივი მოღვაწეობის 9 წელიწადი მეგობრობით განმტკიცებული ჩვენი „ტანდემისათვის“ ფრიად ნაყოფიერი გამოდგა. ერთად რვაჯერ მივიღეთ საუკეთესო სატელევიზიო გადაცემათა ყოველწლიური კონკურსების დაურეაგატის წოდება, 1978 წელს კი საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო პრემიაც.

X X X

ტელევიზიიდან საკუთარი განცხადებით წავიდა – ისევე მისთვის ჩვეული ტკივილიანი, მაგრამ მიმტვერბული ღიმილით.

გაუგო, უთქმელადაც გაუგო მისი ცხოვრების უერთგულესმა თანამგზავმა, უსათრესმა ქალბატონმა ლია კენჭაძემ, რომელიც სიზისის მოთმინებით იტანდა ქრთიკულ უსახსრობას, რაც ყველა პატიოსანი ჟურნალისტური ოჯახის ხვედრია.

გაუგეს შვილებმაც – მისმა სალოცავმა ირინემ და ჭეშმარიტმა ვეკაცმა — დავითმა. გაუგეს, რადგან არ შეიძლებოდა ფელიქს დანელიას ემუშავა ტელევიზიაში შემთხვევით მოხვედრილ იმ უნიჭო ასისტენტთან, რომელიც უსაქმრობისა და სამუშაო საათებში დერეფანში ჭინჭით ფეხბურთის თამაშისათვის ტელევიზიიდან გაავადეს, მღვრიე ტალღამ კი, მრავალი სხვა მედროვისა და შარახვეტისასვით, საქტელევიზიოკომიტეტის თავმჯდომარედ ამოატივიტოვა.

ხეობა არ მისცემდა დარჩენისა და

მასთან თანამშრომლობის უფლებას.

X X X

მახსოვს, გარდაცვალებამდე ხუთი თუ ექვსი წლით ადრე რა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ისტორიის ინსტიტუტში.

ვისხენებ თითოეულ დეტალს და თამამად შემოძლია ვთქვა, რომ ეს დისერტაცია კი არა, იმ პატიოსანი კაცის აღსარება იყო, რომელიც საზოგადოებას ანგარიშს აბარებდა და დამტკიცდა, რომ არ შემცდარან, როცა საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი განყოფილების ხელმძღვანელად დანიშნეს.

აქტიურად თანამშრომლობდა ამავე დეპარტამენტის პერიოდულ ორგანოში „სისტორიო მოამბე“. მაშინ კი, როცა დაისტამბა კაპიტალური კრებული „საქართველოს არქივები“, მისი უდიდესი ნაწილის – პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეთორმეტე თავების ავტორი უშუალოდ ფელიქს დანელია გახლდათ.

X X X

ფელიქსის გარდაცვალებამდე ათი წლით ადრე ქუთაისში, როინის მარჯვენა სანაპიროზე მისმა მამის ძმამ და ბიძაშვილებმა მიგვიპატიეს, დიდი სიყვარულით მიგვიღეს და საარაკო სურვა გაგვიშალეს.

გამომშვიდობებისას ბიძამ მეორე ოთახიდან ხელის კანკალით გამოიტანა პარაფინის ქალაქში გახვეული შეკერა.

– უნდა მაპატიო, შვილო, რომ, როცა ოთხი წლისას მშობლები წავართვეს, შენ და შენი უმცროსი ძმა თამაზი საცხოვრებლად შენს ბიძაშვილებთან ვერ ჩამოგიყვანეთ და თქვენი გადარჩენა და აღზრდა მთლიანად დედაშენის – ბაბო ჭაჭიაშვილის მას მივანდეთ... იცი, რა დროც იყო... ჩვენთან რომ დაგვეტოვებინე, გვართოილად მოგვანებდნენ... ერთიდა შეკექლი. მამის სახე რომ ალგადვისა, მისი ფოტოსურათი მიწაში ჩაფარავი და შევიზახე... მადლობის თქმისას მისთვის ჩვეული ტკივილიანი ღიმილი სახიდან არც ამჯერად მოშორებია და ახლა, როცა იმ წუთებს ვისხენებ, იმდევანდელი მისი გამომტყველება საოცრად მაგონებს საბოლოო გამოთხოვებისას მის სახეზე შეყინულ ღიმილს... **X X X**

დემეტო, გაუნათლე ჩემს დადლილ მეგობარს, რომელმაც უკანასკნელ გზაზე უსაფლავ მამის პორტრეტი წაიღო!

ალექსანდრე შინგელია

აკლანეთში 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა



ხალხს იმ დანაკარგისთვის, რომელიც დღეს განიცადეს. საშინელებაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ეს ხდება ამასწინანდელი მსხვერპლიდან ცოტა ხანში. სრულ სოლიდარობას გიცხადებთ ნატო-სთან“.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ Youtube-ზე გავრცელდა ვიდეო, სახელწოდებით – “ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ”, რომელიც ვიდეო ISAF-ის მისიაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მუქარას შეიცავდა. ვიდეო მუქარას საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართაც შეიცავდა და ხაზგასმული იყო, რომ შურისძიება მალე საქართველოშიც დაიწყება.

– ჩვენ მოვიდეთ საქართველოში, ჩვენ ვიცით თქვენი სახელები, მისამართები, ნათესაებები და მალე ჩამოვალთ! ჩვენ შურს ვიძიებთ! – ასეთ მუქარას შეიცავდა ვიდეო-მითითვა სახელწოდებით “ჯიჰადი ავღანეთში საქართველოს ჯარების წინააღმდეგ”.

“ავღანეთი ჩვენი მიწაა და ყველა, ვინც მის დაპყრობას შეეცადა, ალაპისგან დაისაჯა. ახლა კი, ახალი ჯგეროსნები ჩამოვიდნენ საქართველოდან ჩვენი შვილებისა და ცოლების მოსაკლავად. ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, ამერიკის დანახმარებლად გამოგზავნა ჯარები ავღანეთში. ჯიჰადი ქართველ ჯგეროსნებზე შურს იძიებს. ყოველდღე ჰელმანდში საშინელი სიკვდილით ეკვდებიან ქართველი ჯგეროსნები და იგივე ბედი ელის ყველას, ვინც ჩვენს მიწაზე სისხლს ღვრის. ჩვენ ვიცით თქვენი სახელები, მისამართები, ნათესაებები და მალე საქართველოში ჩამოვალთ! ჩვენ შურს ვიძიებთ!“, – ნათქვამი იყო ვიდეომითითვაში.

ამ გზავნილიდან რამდენიმე საათის შემდეგ თალიბებმა მუქარა განახორციელეს, რასაც აღნიშნული მსხვერპლი მოჰყვა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კიდევ ერთხელ განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველი სამხედროების თავდადებას და

გმობობას. სწორედ ამ თავდადებას და სამხედროების პროფესიულმა მოქმედებამ განაპირობა გაცილებით უფრო დიდი ტრავადის თავიდან აცილება, თუმცა ის, რომ ერთ დღეში დაიღუპა 7 და დაიჭრა 9 ქართველი საჯისე ბჭი, ჩვენთვის წარმოუდგენლად დიდი ტრავადაა.

როგორც საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, 2013 წლის 6 ივნისს განხორციელდა მეამბოხეთა დღემდე ყველაზე მასშტაბური კომბინირებული ტერორისტული თავდასხმა ავღანეთში ნატოს ოპერაციაში მონაწილე საქართველოს შეიარაღებული ძალების ბაზაზე. თითქმის ყველა ტერორისტმა სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებული ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით იერიში მიიტანა სამხედრო ბაზაზე.

ყველასათვის ნათელია, თუ როგორც “განიცდიან” სააკაშვილი და მისი ბანდის წევრები ავღანეთში ქართველი სამხედროების ტრაგიკულ აღსასრულს – 2013 წლის 16 მაისს ავღანეთში დაღუპულნი სამი ქართველი ვაჟაკი დაკრძალეს, 17 მაისს კი ნაციონალებმა საკუთარ წიადში გამოზრდილი გარყვნილი სოლომითები გეი-ადლუმის ჩასატარებლად შეაგულბანეს. ამიტომ, ავღანეთში მორიგი მსხვერპლის გაღების შემდეგ, გარყვნილებმა გაწავილი ნაციებისგან დღე-ღეზე უნდა ველოდით ახალი გეი-ადლუმის ჩატარების განახრახის გაუქმებას.

ვერა და ვერ მოვიცილეთ თავიდან “ნაციონალებად” წოდებული სახადი, რომელთაც სათავე დაუდეს ავღანეთში ქართველი ბიჭების სოციალური კავშირების დასაცავად ბოგინობენ საქართველოში, კიდევ ბევრ სოფელს გადაუვიდეს გლოვის ზარი, ბევრი ბავშვი დაობლებდა, ბევრი დედა და ცოლი ჩაიცვამს ძაძებს...

სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, გაზეით “ილორი” უკვე მერამდენედ უცხადებენ სამიმარს ამ თავსმოსხვეული ომის მსხვერპლთა ოჯახებს!

პოეზიის კუთხე

ჯუმა, მოზონჯ

ნანოლუმა

მიფშათ არქეოპოლისმა,
საარიკოს ქგეოპირა,
ფუთქურამი ქუალეფი
სონს იმგარა, მუს იბირა...
მიარე ბორჯქ მიკილე,
ტეხირ მიშ დო ასეთ მურსე,
დიდა მოკაშ ჩილაპური
ქუალეფეშე გიშმაფუნსე...
ჩქინ მაფეფი თაქ ზოჯუნდეს
მაფეფს ოსქვანდესენ ფერო,
ჯინჯმანგარო, ღმალიერო,
ღუდიშულო, ჩამიერო...
ორქოშ ცორშემს მიღებირდეს
მა შალიეფ ხონარწკონდა,
ირფელს ქიეკიებუქე
თექ მუთ ქორდენ, ქგოკონდა...
მიფშათ არქეოპოლისმა,
საარიკოს ქგეოპირა,
ფუთქურამი ქუალეფი
წკონდა კოლხურო იბირა...
* * *
შურობუმეშ მოლოროფემს,
ღურა შურო ვანარღუნა,
“თელო ღუას ირო ჯუჯუ
კონიშ კონანეორ ღურა“...
* * *
გური გოზიორილ მაფუ,
შურქ გინმარეფ ცინი თირო
სი გემინწყი, ჩქიმ ღორთონი,
თენა თაშ იყინო ირო?...
რამაზ კუპრა

ქართული ენის სიჭიმინისათვის

კოეზიის კუთხე

ქს ლემსი "ეპლენა... ბატონ ჯემალ ბამახარიასა და ყველა იმ კოლხს, რომელსაც საკუთარი "ნანაშ ნინა" დიალექტად მიიჩნია:

როცა სამშობლოს სამსახურში ხარ, ყველაფრის ექსპერტი უნდა იყო, ყველაფერი უნდა გეგებოდეს. თ. ბუთსუხი "ფაქტი სახეზეა", "დანაშაული სახეზეა", და სხვა მრავალი ისევე როგორც "ამასთან დაკავშირებით", შემოსულია რუსული ენიდან და სხობდა არ დაგვეშვა ენაში. ხომ შეიძლება ვთქვათ, "ფაქტი აღინიშნა", "დანაშაული აღინიშნა" და ა.შ. დიდ უცოდინრობას და დაუკვირვებლობას ამქვამეებზე ციფრების (%-ის ან სხვა მნიშვნელობით) ხმარების დროს, მაგ: ამბობენ ორი მთელი ხუთი (2,5%) პროცენტი ან 2,1 (ორი მთელი ერთი მილ. ლარი) და ა.შ. ძნელია დაიჯერო რომ ამ ადამიანებს სკოლაში არ უგლიათ, სხვა შემთხვევაში ენას არ დაამახინჯებდნენ და იტყოდნენ 2,5% (ორი მთელი ხუთი მეათედი პროცენტი), 2,05 (ორი მთელი ხუთი მესამედი პროცენტი), 2,1 (ორი მთელი ერთი მეათედი მილიონი ლარი) და ა.შ.

ასევე უცოდინრობა როდესაც ხმარობენ გამოთქმას "შარვალი-კოსტუმი" უნდა ვიცოდეთ, რომ შარვალი და პიჯაკი კომპაქტში წარმოადგენს კოსტუმს. დღეს ადამიანის წარდგენისას, ან ხის შედგენის დროს წერენ და გამოთქამენ მაგ. ბადრიძე ავთანდილ, სუმბაძე დავით და ა.შ. რაც, ვფიქრობთ, რუსული გავლენის გამო ბრუნვაში სწორედ არ ხის. უნდა იყოს ბადრიძე ავთანდილი, სუმბაძე დავით ან თუ სახელს დავეწერთ ვერის წინ იქნება ავთანდილ ბადრიძე, დავით სუმბაძე და ა.შ.

ასევე გაგვიფიქრონა ფრაზა მსგავსი კონტექსტით "ნაატარეს ახალგაზრდა მუსიკოსების კასტინგი", სწორი იქნებოდა "ნაატარეს მუსიკოსების კასტინგი ახალგაზრდებისა", მაგრამ, კასტინგის ნაცვლად რომ ქართული სიტყვა გვეხმარა უფრო უკეთესი იქნებოდა რამდენადაც ჩვენი იგი გავაჩნია და ეს არის "შერჩევა", "დათვალადგება".

სწორედ ვამბობთ და ვწერთ მაგ: "საგარეჯოელი", "დასავლელი", "ფიზიკა-მათემატიკურ", "რაც არ უნდა იყოს", "გაყიდვაშია", "ნათელმხილველი" და მისთანანი, სწორი იქნება თუ აღნიშნულ კონკრეტულ სიტყვებს გამოვთქვამთ შესაბამისად - "გარეჯელი", "დასავლელი", "ფიზიკა-მათემატიკის", "რაც უნდა იყოს, იყიდება", "ყვიდიო", "გულთმისანი", იგივე "მართლმხილველი". მსგავსი გამოთქმების აღნიშვნა ალბათ უსასრულოდ შეიძლება, რასაც სპეციალისტების და ყველა ქართველის მხრიდან დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

"მოეწყო", "დაიწყო", "მოხდა", "გამოვიდა" და ა.შ. შეცვალა ერთმა ზმნამ "შედა", რაც ვფიქრობთ უარყოფითად მოქმედებს ენის, ლექსიკის მრავალფეროვნებაზე, დიდებულეობაზე.

წინადადებაში "რა იგულისხმება ამ ცნებაში" ამასინჯებენ შემდეგნაირად "რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ" ასევე, ნაცვლად იმისა, რომ თქვან "იწყებენ მშენებლობას", ამბობენ "იწყებენ წარმოებას", "სამსახური გადადის პრემიერის დაქვემდებარების ქვეშ", უნდა იყოს "გადადის დაქვემდებარებაში" და სხვა.

საყურადღებოა გაგარკვეოთ სიტყვები "პლომბი" და "დამლა". ხშირად ამ ორ სიტყვას ერთი და იგივე მნიშვნელობით ხმარობენ ან ერთმანეთში ურყევენ. ვფიქრობთ აქაც საჭიროა შევიტანოთ სიცხადე. პლომბი შეიძლება გაუკეთო (დაადო) ვაგონს, სკივრს, სკივთირს (კონტინერს), საცავს (ოთახს, ყუთს და სხვ.) ზონარზე ან მავთულზე ჩამოცემული საგნით, მაგრამ დამლა დაიდება სხეულზე, საგნის ზედაპირზე და ა.შ. სხვადასხვა მეთოდით.

ასეც იქნება, მთავარია ენის თავისებურებებიდან გამომდინარე ამან ენაზე დადებითად იმოქმედოს, ენის ბუნება არ დაირღვეს. დიდი მნიშვნელობა აქვს წინადადებაში სიტყვათა წყობაში რის გამოც ხშირად ვცოდავთ, მაგ. ვამბობთ "ანის მოსვლამ სახლში ძალიან გაგვახარა" ან "ანის ბებია კაბა უყიდა" რაც არასწორია. უნდა იყოს "სახლში ანის მოსვლა ძალიან გაგვახარა", "ბებოემ ანის კაბა უყიდა".

გუჯაჯიანი-ხორავასული ეს „სიმართლე“, რა თქმა უნდა თ. გვანცელაძეს ეკუთვნის: „...რომ არ არსებობს არც სამი და არც ოთხი ქართველური ენა“;
დივლოსის პირობებში ქართველები ლაპარაკობენ ერთადერთ ქართველურ (ზოგადქართულ) ენასა და ათეულობით დიალექტზე;
ზანური (მებრული-ლაზური) და სვანური (ბალსხემორი, ბალსქემორი, ლაშხური, ლენტეხური და ჩოლული) კილოები ამ საერთოეროვნული ენის, ისეთივე ტერიტორიული მიკროვარიანტებია, როგორც არიან: ქართული, კახური, იმერული, აჭარული, ხევსურული, თუშური, ფერდინული, ტაურის, მაჭახლური და სხვანი“ (თ. გვანცელაძე, 2006, გვ.9).

რია, უფრო მეტიც, სახიანო ნაბიჯია: ერთი, რომ მახინჯდება მეცნიერული ფაქტი და მეორეც, რადგან ენის სტატუსი დიალექტად იქნა „დაქვეითება“. შესაბამის კუთხისა წარმომადგენლები ამ ფაქტს შეურაცხველად და დისკრიმინაციულად აღიქვამენ. განხრევა უნდობლობა..“ (გ. კვარაცხელია, კრებული – 2007, გვ. 13).

გუჯაჯიანი-ხორავას ნაშრომზე თუ გავსიფრავთ ბატონი გვანცელაძის ამ პოსტულატს გამოვა შემდეგი: გუჯაჯიანმა და

ბია ოკუჰაძა (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დიდი გაურკვევლობა საქართველოს სახელთან დაკავშირებით

“ქართ“-ის ეტიმოლოგია

– “ქართ” არის უძველესი ტოპონიმი, რომელიც გვხვდება მთლიანად ევროპის და წინა აზია-მესოპოტამიის ტერიტორიებზე.

– ფინიკურად და არამეულად “ქართა” ნიშნავს ციხესა და ქალაქსაც. უგარბეულად ციხე-ქალაქს ქვია “ქრთ”, ებრაულად “ქრეთ”. პელაზგურადაც ციხე-ქალაქს ერქვა “კარდა” (ქართა). “ქართ“-ფუძე დასტურდება პელაზგურ კრეტაზეც, რომელსაც სავარაუდოდ ერქვა “ქართეზია” ქალაქით “ქართეა” (პელაზგური მაკედონიის რეგიონში “ბერმეაში” კი არის მთა “სქარდი” ამავე სახელწოდების ქალაქით, აქვეა ქალაქი “მარგა” და მდინარე “მარგო”). მეგრელები თბილისს ეძახიან “ქართს” ქალაქის მნიშვნელობით და ამასთანავე “ქართა” მეგრულად ნიშნავს ციხის ქონგურს. არმაზის ციხეს ადრე ერქვა “ქართი”, რაც ზოგადად ციხე-ქალაქის სახელწოდება უნდა ყოფილიყო. ეთნონიმი “ქართველი” გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით აღნიშნავს ციხე-სიმაგრის მობინადრეს, ასევე ციხე-ქალაქის აღმნიშვნელია ფრიგიელების, იგივე “ბერეკინტების”, დედაქალაქის სახელწოდება “გორდონი“-“გორდონი”. ერთი ქართულ ტომს “კარდუხებს” მეორენაირად ეძახდნენ “გორდუენოს” – “კორდუენოს”, რომლებიც ცხოვრობდნენ აგრეთვე არარატის მთიანეთშიც. თარგუმში (ბიბლიაში) არარატის მთას (მთებს) ეწოდებოდა “კარდუს” მთა (მთები), ანუ “კართ-დუნიას”-“ქართ-ქვეყნის”(სამეფოს) მთა (მთები). პეტრე პატრიკოსი (VI ს.) ამ ქვეყანას მოიხსენიებს სახელით “კარდუნენ”. ქსენოფონტესთან ამ ქვეყანას არმენია ესაზღვრება. ძველ სომხურში “კორდუკ” ქართველთა აღმნიშვნელი ეთნონიმა, მეგრულად კი “ქართველი” არის “ქართუ” და ამდენად ესაა მეგრულთა თვითსახელიც. “კორდუნიაში” არის აგრეთვე კასიტების თვითსახელიც, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მართავდნენ შუამდინარეთს, სადაც მათ ქვეყანას ერქვა “ქარდუნია(ში)”, იგივე “ქართ-დუნია”, ანუ “ქართ-ქვეყანა”. მეგრულად “დუნია” ქვეყანას ნიშნავს, კელტურად კი “დუნი” ციხე-ქალაქსაც ნიშნავდა, ხოლო “დუნუმ” ქვეყანას. ქვეყანა “ქარდუნიას” მეორენაირად ერქვა “ბაბილონია”. ბაბილონის მშენებლობას მიაწერენ მეფე “ურენგურს”, რის გამოც ვარაუდობენ რომ ბაბილონს თავიდან მისივე სახელი “ურენგური” ერქვა. ქალაქ “ბაბილონს” ამასთანავე ერქვა “ქადინგირი”, “ქად” (ქარდ) იგივე “ქართი” უნდა იყოს (“ინგირი” მდინარე “ენგურის” პარალელური სახელია და მის პირას ერთ სოფელს ასევე ქვია “ინგირი”). კასიტების ქვეყანას კასპიის ზღვის სამხრეთით ერქვა “პირკანია” (სამეფოთი), რომლის მთავარ ციხე-ქალაქსაც ერქვა “ქართა”, რომელსაც ჩამოუდიოდა მდინარე “გურგანი” - ამ რეგიონს ერქვა აგრეთვე “ტიბერისტანი”, იგივე მაზანდარანი და გილანი. მაზანდარა და “ქართა” ქვია აგრეთვე სოფლებს სამეგრელოში. პირკანიას აგრეთვე ერქვა “ქუში”-“ქურში” (აღნიშნა “ქართიში”). სპარსეთის იმპერიის პირველ მეფესაც ერქვა “ქუროში” (ბერძნულად კიროსი). “კასიტებს” და “ქაშქებს” ამასთანავე ერქვათ “კასხები”-“ქაშხები”, რაც იქნებოდა “ქართხები”. უძველესი შუამდინარული ენების მკვლევართა მიერ ამოკითხული “შ” შესაძლოა სინამდვილეში არის “რ” და “რთ”, მაგალითად: კასიტების მეფის სახელი “ქაშითილ-იაში” სინამდვილეში შესაძლოა ყოფილიყო “ქართილიაში”, “აბირატ-თაში” კი “აბირატ-თარ”, “ურ-კაშიდ” იქნებოდა “ურ-ქართ-თა”. ხეთურ-ნესიტურადაც ციხე-ქალაქს ერქვა “ქარდა”, ხეთების სამეფოს კი ერქვა “ქარხემიში”: “ში” მეგრულად კუთვნილებას ნიშნავს, “ემი” იგივეა რაც მეგრული “ამი” (ქართულად იანი), გვრჩება “ქარხ”, რაც “ქარდ”-“ქართ“-ფუძის ბრუნვითი ფორმა უნდა იყოს. აქვე უნდა აღინიშნოს რომ ეს ტერმინი ზოგან იკითხება როგორც “ქარქამიში” და აქაც “ქ” და “ხ“-ს მონაცვლეობა დასტურდება. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინით აღნიშნულია ის ქვეყანა რომელსაც სპარსელები ეძახიან “კათ-

პალუკას”, ელამური “ქათბა-დუქას” მიხედვით – “ქათბა” იგივე “ქართა” უნდა იყოს, “დუქა” იგივე “დუნია”. ეს ტერმინიც აშკარად “ქართ“-ფუძეს უკავშირდება და არა ლამაზ ცხენებს, თუ ვირებს. კაპადოკიას ასევე ერქვა “ხათი” და “ქაშქათი”. თუ გავითვალისწინებთ, რომ “ხათის” ქვეყანა არის იგივე “ქარხემიში” “ხათ-ში” თევისუფლად შეგვიძლია აღვადგინოთ “რ” და მივიღოთ “ხართი”, ანუ “ქართი”. აგრეთვე საყურადღებოა რომ ერთ ხეთურ ქალაქს ერქვა “ქარგამიში”. “ხ“-ს და “ქ“-ს მონაცვლეობა სახეზე გვაქვს ჭანების ქვეყნის სახელშიც “ხალდეა” – “ქალდეა”. პ. ინგოროვსა აზრით “ქალდეა” იყო სამხრეთ კოლხეთის ზოგადი სახელწოდება. ი. ჯავახიშვილის აზრით ქართლის ცხოვრებაში ნახსენები “არიან ქართლი” იგივე “ქალდეაა”. ქართლის ცხოვრებაში ვითხვებით: “კუალად გამოვიდნენ სხუანი ნათესავნი ქალდეველნი და დაეშენეს იგინი ქართლსა”. არსენ ბერი, დავით აღმაშენებლის მოძღვარი, თავის “წმიდა ნინოს ცხოვრებაში” წერდა: “ხვენ შეიღნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსულთანი და ენაი მათი ვუწყოთ, ანუ ჭანური (მეგრული) ვიციოთ. “ურ ქალდეა” ებრაულად ეწოდებოდა შუამდინარეთს, არამეულ ენას კი მიიწვედნენ ქალდეველთა შექმნილ ენად, რომელიც იყო სპარსეთის იმპერიის თავდაპირველი ოფიციალური ენაც და ამასთანავე ასრულებდა საერთაშორისო ენის ფუნქციასაც, რის გამოც ქრისტე ებრაელებში ამ ენაზე ქალაგებდა. პროკოფი კესარიელის ცნობით ჭანეთის ერთერთ ქალაქს ერქვა “ხართონი”. ქალდეველ-კასიტების კიდევ ერთ ქვეყანას ერქვა “ხური”, რომელიც ლურსმნულ წარწერებში იკითხება ამასთანავე როგორც “ხარი” და “ქური”, ანუ “ქურთი”-“ქართი”, “ხურიტების” დედაქალაქს ერქვა “ხარანი”. მოკვიანებით “ხურიტ-კასიტების”, ანუ “ქალდეველ-ქართების” ადგილზე ჩამოსახლებულ ირანულ ტომს ეწოდა “ქურთები”, მაგრამ ისინი არ გახლავთ “ხურიტ-ქალდეველთა” შთამომავლები. თავად ეთნონიმი “ქურთი” ნაწარმოები ჩანს “ქორთუ“-დან. მსგავსად ამისა ადრე აფხაზები ეწოდებოდნენ დასავლეთის ქართველებს, დღეს კი ქვია ადიღურ ტომს. –“ქართა”, “ოქართუ” და “ქართილი” მეგრულად ნიშნავს აგრეთვე შემოღობულ-შემორაკულს (მთებთან) და შეუვალ ადგილს. სვანურად “ლქრთუ” (ლე ქართუ) აგრეთვე შემორაკულს-შემოღობილს ნიშნავს. ებრაულად ედემის ბაღს ქვია “გან”, რაც ამასთანავე შემოღობილს-შემორაკულს ნიშნავს. ადამის და ევას სიციცხლის ხის დარაჯად ღმერთმა ცეცხლოვანი ხმლით შეიარაღებული ქერუბიმი დააყენა. “ქერუბიმის” ადრინდელი სახელებია: “ქერუბი”, აქადურად “ქარუბუ”. ქართული “მუხის ანგელოზი” სავარაუდოდ ეგ ქერუბიმიან ანტიკურ ეპოქაში ის წარმოდგენილი იყო როგორც სფინქსი, გრიფონი, ურჩხული (არგონავტების მითში) და ა.შ. გერმანულად ბაღს და ეზოსაც ქვია “გართენ”; გოთურად “გარდა” ნიშნავდა ციხე-ქალაქს. ფინურ-უგარულად მეგლსაც და ციხესაც ქვია “ქარდა” და “გურთ”. გოთურ არქიტექტურაში კი “გურთ” ნიშნავს შემკვრელ თაღს-რკალს. “ქართი” მეგრულად აგრეთვე ნიშნავს მოწოდებას შეერთებისკენ-გაერთიანებისკენ, “ქართახამი” კი ნიშნავს ღობის სარტების შემკვრელ რკალს. “ხორთა” პორტუგალურად ნიშნავს ეზოს, ბაღს. “ქართა” მეგრულად ამასთანავე ეწოდება საქონლის სადგომს – იგივეს ნიშნავს “კარდა” აღმოსავლურ ევროპულ ენებზეც. ადრე აქედანაა ესპანური “კორიდაც”. ესპანეთში იყო ქალაქები: “ქართა”, “ქართალია”, “კორდოვა” და ა.შ. ინგლისურად “ქორთ” ნიშნავს სამეფო ეზოს. კელტური დვთაება “მერლინის” ქალაქს ერქვა “ქარმარტენ”, ან “ქაერფურდინ” (აღბად “ქართ-დუნია”), – მეორენაირად “მორი-დუნონ”. თავად “მერლინი” აღბად არის “მარ-ლინი”, რადგან ის აგრეთვე უკავშირდება ღვთაება ტარხუსს, ანუ “მარგუს”-“მორიგუს”-“მარსს”. ნეოლათინურ ენებზე ბაღს და ეზოს ქვია “გ(ი)არდან” - ფრანგულად

“ვარდან”. საფრანგეთის “კორსიკაც” შესაძლოა “ქორტიდან” იყოს ნაწარმოები. ერთი ვერსიით კორსიკელები ადრე კორსიკას ეძახდნენ “ქორთს”. იტალიურად ეზოს ქვია “ჯარდინო”, ხოლო “კორტონე” იტალიურად ნიშნავს შიდა ეზოს (იტალიური ეზო) – ეს ეტრუსკული სახელია, რომელიც აგრეთვე შემორჩა ქალაქ “კორთონას” ტოსკანაში – ვარაუდობენ რომ მას ადრე ერქვა “ქართონა” და აკავშირებენ “ქართაგენის” ეტიმოლოგიასთან: “ქართა-გენი, ქართა-გერია, აღგერია-ალგერია”. – ხურიტულად ციხესაც და ქალაქსაც ქვია “არდ”, რაც “ქართის” ერთერთი ფორმაა. ძველ ქართულში, ისევე როგორც ხურიტულში, “არდი” აგრეთვე ნიშნავდა მზეს. სიტყვა “ქართა” მეგრულში აღნიშნავს მზის შარავანდელს (მთვანესაც), იგივე ნათლის გვირგვინს. “ქართამი” კი ნიშნავს გვირგვინისა, რაც ასახულია მცხეთის მეფეების ტიტულატურაში “ქართამ-II”. მითანის პირველ მეფესაც ერქვა “ქართა”, იგივე “ქართა”. ინდოევროპულ ენებში სამეფო გვირგვინის აღმნიშვნელია “კორონა”-“კარონა”. ძველსლავურად “ხართამი” ნიშნავს მეფეს, ხოლო “ქურტ” სახელმწიფო ძალაუფლებას, რაც ბერძნულიდანაა აღებული. სავარაუდოა, რომ ბერძნული სიტყვა “კრატოს” (ძალაუფლება) აგრეთვე მომდინარეობს “ქართ” ძირიდან. ამავე ძირიანი სიტყვა “კრატერი” კი ნიშნავს სამეფო თასს და უკავშირდება გრაკლს-გრაალს. პროტობერძნულში ჭურჭლის აღმნიშვნელი სიტყვებია: “კათი”, “კარარევი”, “კაროპა” და ა.შ. ქართულში გვაქვს ჭურჭლის სახელები: “კორდლო”, “კარდალა”, “კათხა” და ა.შ. – ზოგი მეცნიერი გრაალის თასს აიგივებს ოქროს საწმისთან, რომელზეც კოლხური ოქროდამწერლობის ნიშნებით რაღაც ეწერა. საწერ “ქალადღს” მეგრულად ქვია “ქარდადი”, მეორენაირად “ქარტალი”, ძველქართულად “ქარტა” - აქედანაა გადაღებული ინდოევროპული “ქარტა”-“კარტონი”. დამწერლობა ლათინურად არის “ს-კრიტ-ურა”-“სკრიპტ”, აქედან კი შეგვიძლია მივიღოთ “კრიტ-ქართი”-“ქართი”. სავარაუდოდ წერა აგრეთვე უკავშირდება მეგრულ სიტყვა “კირბუას”, იგივე “კრებას”, რაც თავის მხრივ უკავშირდება კოლხი-პელაზგების ნაწერებს “კირბებს”. ქართული სიტყვა “გრაგენა” ნიშნავდა ქვაზე წერას, ამიტომ ქართულში ნაწერს ასევე ქვია “გრაგენილი” და მას უკავშირდება ბერძნული “გრაფიკა” და ლათინური სიტყვა “გრატირე“-კაწერა, სომხურად “გრაბარი” ნიშნავს ნაწერს. ქვაზე “წერასვე” უკავშირდება სიტყვა “წერაქვი”, “სატრეთელი” და “ჭარუა”, “ქარგვა”, “წუქურთმა” - “მიწუ-ქურთ-მებას” შესაძლოა დაუკავშიროთ სიტყვა აგრეთვე “ხატვა”-“ხანტუა” და მივიღოთ “ხატუა”-“ქარტუა”-“ქართუა”. შესაძლოა ამასვე უკავშირდებოდეს ლათინური სიტყვა “არტე”(ხელოვნება). სავარაუდოდ შემერული სიტყვა “კირუშ”-“კალუშ” აგრეთვე წერას უნდა ნიშნავდეს. არაბულად წერა არის “კითაბა”. ევკვიპტურად იეროგლიფების ჩასაწერად ქვაში ამოკვეთილი ოვალურ წერს ეწოდება “ქართუში” და სავარაუდოდ ასევე ერქვა სატახტო ქალაქ “კარნაკს”. – “ქორთ”-“ქართ” ფუძე შესაძლოა იყოს “კოლხ” ფუძის საწყისი ფორმაც. გამჩრედი-ივანოვმა ქართული “ტყუპ”-“ტყავ” ძირი მიიჩნია ბერძნული “კოპ” ძირის საფუძველად. ამ ორი “მეცნიერის” მიხედვით გამოდის, რომ ქართული “ა” შეიძლება ბერძნულში ქცეულიყო “ო“-დ. ამ ლოგიკითაც ვდებულობთ “ქორთ”-ს (მეგრულში ქართ-ველი ხდება ქორთ-უ). ბერძნულში “ქ” ხშირად იქცევა “კ”-დ, “რ” კი “ლ”-ში ადვილად გადადის. მივიღოთ “კოლ”. “ლ”-ს მერე “თ” იქცევა “ხ”-თ, ანუ “ხ”-ს წინ “რ” “ლ”-ში დაგადის, ანუ “კოლთ”, რაც უფრო ადვილად წარმოითქმის როგორც “კოლხ”, “ლთ” კი საერთოდ არ გვხვდება ბერძნულ დაბრუნებებში. “ქართიდა-კორთიდა-კოლთიდა” მოუხერხებელი იქნებოდა ბერძნული ენისთვის და “კოლხიდას” ამჯობინდნენ. ანალოგიურ შემთხვევას გავს “კორინთოც”. თუმცა შესაძლოა რომ “ქართ” და “კოლხ” პარა-

ლელურად არსებობდნენ გეორგიანულ სამყაროში და ამიტომ ბერძნებს ეს ორი სიტყვა ერთმანეთში აერიათ. – თუმურში “კილხი” და “კუხ” შემორჩენილია უმოსავლო მიწის ცნებად (ასოცირდება ჭაობთანაც). მეგრულად “კოლახონა” ნიშნავს ხენას, ხოლო “კოლო” ნიშნავს მწარეს-უგარვისს. “კოხი” კი სე-ტყვაა. მე ამ სიტყვებს ვერ მივინევი კოლხეთის სამეფოს სახელწოდების ფუძედ, რადგან ქვეყნის სახელს ქურუმები და მეფეები ადგენდნენ სავარაუდოდ და არა გლეხები, რომ მათ თავიანთი ქვეყნისთვის დაერქმიათ უნაყოფო მიწა, რომელსაც ბევრი ხენაც ვერ შევლის, ან საერთოდ ჭაობია და თანაც მწარე. თუმცა კოლხი-დაში არსებობს აგრეთვე “კოლას” რეგიონი, რომელიც მთიანია და ჭაობთან არანაირი კავშირი არა აქვს. მითუმეტეს, რომ ბერძენი თუკიდიდეს მთლიანად ანატოლიის ნახევარკუნძულს კოლხეთის ნახევარკუნძულად მოიხსენიებს და ის არ იქნებოდა გამონაკლისი. “კ” მეგრულად ნიშნავს “რკოს”, “ოლა”-“ოლაქ” ნიშნავს დიდ ხეს, იგივე “ალიხეს”-“ალვის ხეს”, იგივე “ბერმუხას”. ლათინურად მას შესატყვისება “ალნუსი” და “ალბერი”. კელტების წმინდა ხის სახელი შემორჩენილია ევროპის ზოგიერთ ენაში, როგორც “ოლხა” და “აილხე”. სვანური სიმღერა “ოლიდე” სავარაუდოდ მას ეძღვნებოდა. აფრიკასა და აზიაში გავრცელებულია “კოლის” ხე, რომლის კაკალიც თანამედროვე დასავლეთს, “კოკა-კოლას”, მეორე კომპონენტია. სამხრეთ საქართველოს “კოლას” რეგიონში გვხვდება ტოპონიმი “ოლთისი”, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით კი არის ხეობა “რკონი”, რაც “კოლას” ქართული შესატყვისი უნდა ყოფილიყო. ეს კი, რა თქმა უნდა უკავშირდება მუხის ხის კულტს, “ბერმუხას”, იგივე “კედარს”, ანუ სიცოცხლის ხეს, სამოთხის ხეს. “კოლას” რეგიონს ამასთანავე ერქვა “კედარი”, რაც აგრეთვე წმინდა ხეა. შუამდინარეთში არსებობდა ქალაქი “კოლახური”, “კულხა” და “კალხუ” (იგივე ნიმრული). ერთ შემერულ დვთაებას ერქვა “კოლა” – ეს სახელი საქართველოში ხშირად გვხვდება. ანტიკურ მითებში, ოქროს საწმისი მდინარე ფაზისის პირას, ომის დვთაება არვის ხეობაში, მუხის ხეზე იყო ჩამოკიდული და მას ურჩხული (ქერუბი-სფინქსი) დარაჯობდა (იქნებ “მუხის ანგელოზი”?). ხეთურ მითში მოკვდავი და აღორძინებადი დვთაების, თელიფინუს წინ, “ეიას” წმინდა ხეს რგავენ, რომელზედაც ცხვრის ტყავს ჰკიდებენ. ხეთებშიც მუხის კულტი იყო გავრცელებული. სვანურ ოქმულეებშიც არსებობს მუხის ხე ჩამოკიდებული საწმისი. საერთოდ ქართულ ცნობიერებაში მუხა იგივე საქართველოა, რაც კარგად გამოიხატება ერთ ქართულ ხალხურ ლექსში – “შემლი მუხასალო”... შესაძლოა ოქროს საწმისზე მწერა “უკვდავების წყლის” დამზადების რეცეპტი, რომელიც უნდა დაეკლათ იასპის ქვისგან დამზადებული გრაალის ბარძიშით. აღსანიშნავია რომ უძველეს იდეოგრაფებზე და ბარელიეფებზე გამოსახულია ბარძიმიდან ამოზრდილი სიცოცხლის ხე. – როგორც ვხედავთ “ქართ“-ფუძე ძირფესვიანად კოლხური ფუძეა და მას მეგრულ ენაში დღემდე აქვს პირველადი მნიშვნელობები შენარჩუნებული: 1. “ქართილი” – “ოქართე” – შემოხლეული ადგილი (ედემის ბაღი). 2. “ქართი” – ქალაქი (ციხე-ქალაქი, დედა-ქალაქი), გაერთიანება (შეერთდი). 3. “ქართა” – გვირგვინი, შარავანდელი. “ქართამი” – გვირგვინისხანი. 4. “ქორთუ” – ქართ(ლ)ის მკვიდრთა აღმნიშვნელი სიტყვა. 5. “ქარტალი” – “ქარდადი” – საწერი ქალაქი. 6. “ქ”, “ქი”, “ქა”, “ქო”, “ქუ” – მეგრული ენისთვის დამახასიათებელი ზმნისწინებია. 7. “ართი” – ნიშნავს ერთს, საწყისს და გაერთიანებას. 8. “რთ” – ნიშნავს (...) რთვას, კონტაქტში (რეაქციაში) შესვლას.

ალოგიზმი მიტყველების წარმოქმნის (ენობის) მარქსისტულ შრომის თეორიაში

პატივცემულო რედაქტორო, გასაგებია, რომ წინამდებარე წერილი სრულად არ ესადაგება თქვენი გახეთის თემატურ მიმართულებებს, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ: თანამედროვე განათლებული მკითხველი ამგვარ წერილებსაც ინტერესით კითხულობს.

ავტორი ათეული წლებია მუშაობს ზოგადად ანტროპოგენეზის (ადამიანის წარმოქმნის) საკითხებზე, რომელთაგან უმთავრესია მეტყველების, აზროვნების და შრომის წარმოქმნის პრობლემები. დაინტერესებულ პირთ, მსურველთ გაიგონ თუ რა მეთოდებით და როგორ გადაჭრა მან ეს პრობლემები, ვთხოვ იხილონ საიტი - edemizoria.do.am

მეტყველების წარმოქმნის სოციალური თეორიებიდან შრომის თეორია განსაკუთრებით კომუნისტურ სივრცეში ბატონობდა. მის თანახმად, შრომამ შექმნა ადამიანი, რადგან «...აზროვნება წარმოიქმნა ენის განვითარების შედეგად, რომელიც შეიქმნა შრომით ურთიერთობებში...» (ვ. ვ. მიხევევი), ურთიერთდაკავშირების მოთხოვნილების არსებობის გამო.

უწინარეს ყოველისა, სანამ დასმულ საკითხს განვიხილავდეთ, ჯერ არს განსაზღვროთ თუ რა არის შრომა და ადამიანი: «...შრომია არის... პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის... რომელშიც ადამიანი თავისი მოქმედებით მოსაშუალოებს, აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას მასსა და ბუნებას შორის» კ. მარქსი «კაპიტალიზმის» მ. ტ. პირველი გვ. 227; «...შრომია... პირველი ძირითადი პირობაა კაცობრიობის ცხოვრებისა და იმ ხარისხში, რომ ჩვენ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ: ადამიანი შექმნა შრომამ...» (ფ. ენგელსი «ბუნების დიალექტიკა») მ. 1969 გვ. 144. თარგმანი, ე. ი. გარკვეული თვალსაზრისით, ბრძანებს ენგელსი და ეს სწორია, რადგან შრომამ მართლაც განავითარა მეტყველება და თავად ადამიანი (მხედველობაშია მორფოგენეზი და სოციოგენეზი), მაგრამ მისმა თანამოაზრეებმა აღნიშნული თეზა არა ხაზგასმულად ანუ ფიგურალურ ნათქვამად, არამედ აბსოლუტურ ჰეგემონიზმად დასახეს, რაც არასწორია.

ახლა კი მომეკვინა ციტატა კ. ს. ენციკლოპედიიდან: «...კ. მარქსამდე ცნობილი იყო ადამიანის განსაზღვრის მრავალი ცდა: ადამიანი არის ეთიკური არსება (სოკრატე, პლატონი); ადამიანი არის საზოგადოებრივი ცხოველი (არისტოტელე); ადამიანი არის შუამდებარე არარასა და ყველაფერს შორის (პასკალი); ადამიანი არის მანქანა (ლამეტრი); ადამიანი არის მთლიანად კაცობრიობა (გოეთე); ადამიანი არის ბუნების მიხანი და არა საშუალება (კანტი) და სხვა. ამ განსაზღვრებებში მოცემული თავისებურებანი მართლაც არის ადამიანისთვის სპეციფიკური, მაგრამ არსებითი არ არის... ადამიანის ნამდვილი არსის განსაზღვრება - შრომის იარაღების შექმნის უნარი და მათი საშუალებით გარემოზე ზემოქმედება...»

ადამიანის საზოგადოებრივ ისტორიას წინ უძღოდა ბიოლოგიური ევოლუცია: ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიური აღნაგობის ცვალებადობა, შრომითი საქმიანობის ჩანასახები... ჯოჯოგური ურთიერთობათა განვითარება უმადლეს ცხოველებში...»

ადამიანი ეკუთვნის ძუძუმწოვართა კლასის პრიმატების რიგის პომინიდების ოჯახს... უძველესი პომინიდები უთუოდ ფართოდ იყვნენ გავრცელებული მესამეული პერიოდის მეორე ნახევარში ევრაზიასა და აფრიკაში. 1959 წ. აღმოჩენილი ავსტრალოპითეკური ფორმის თავის ქალასთან ერთად იპოვეს პრიმიტიული იარაღი: ჩლიქოსანთა წამახული ძეგლები და წაწვეტილებული რქები. ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო, ანთროპოგენეზის საკანდო მომენტია... პათეკანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტემატურმა დამზადებამ (და გამოვლენამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღ-

მოცენების საფუძველი, რასაც უთუოდ უკავშირდება... თავის ტვინის ურთიერთად გაზრდა ავსტრალოპითეკის ტვინთან შედარებით... (შეიქმნა ე. ი.) «ფ. წ. ქვის ხანის შელის კულტურა» კ. ს. ენციკლოპედია გვ. 79-80.

ალოგიზმი პირველი: აღნიშნულ ციტატათა შინაარსობრივი მოცემულობები ურთიერთთან და ამ საკითხებში უკვე არსებულ ცოდნასთან მიმართებით ალოგიზმის სრულ კასკადად გადაიქცევიან, როგორც კი შევეცდებით მათ გამოყენებას, პირდაპირი გაგებით, ენგელსის ზემოაღნიშნული თეზის - «**შრომამ შექმნა ადამიანი**», გასამყარებლად. თუ კარგად დავაკვირდებით, მარქსისა და ენგელსის ციტატებში შრომა და ადამიანი ერთიანია, ისინი იზოლირებულად არ არსებობენ. აშკარა საწინააღმდეგოს ამტკიცებს ციტატა ენციკლოპედიიდან, რომლის მიხედვით «...ს. ხ. ისტორიის წინ უძღოდა შრომითი ჩანასახები... შემდეგ, ავსტრალოპითეკის ეპოქაში მოხდა...» ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებაზე გადასვლა, რაც დაახლოებით 1,5 მლ. წლის წინათ უნდა მომხდარიყო...» და მხოლოდ «...პათეკანტროპის საფეხურზე შრომის იარაღების სისტემატურმა დამზადებამ (და გამოვლენამ) გამოიწვია უძველესი ადამიანის ფსიქიკის რთული გარდაქმნა და შექმნა მეტყველების აღმოცენების საფუძველი...» ანუ გამოდის მხოლოდ 0,5 მლ წლის წინ, შელა-შეღ კულტურათა პერიოდში, მოხდა მეტყველი არსების - ადამიანის წარმოშობა. ეს მაშინ, როცა მანამდე, ჯერ კიდევ ერთი მილიონი წლის წინ «...ბუნების საგნების მიზანდასახულ დამუშავებას...» ანუ იარაღის დამზადებას აწარმოებდა. მარქსიზმის სრულად ერთსულოვანი, დოგმატურ აყვანილი დასკვნით კი ადამიანის უმთავრესი განმსაზღვრელი ატრიბუტი სწორედ რომ იარაღის დამზადების უნარის ქონაა.

ხაზგასმით უნდა შეინიშნოს ის, რომ თუ რას დავარქმევთ უკვე აღმოცენებულ შრომას - ჩანასახოვანს, პრიმიტიულს და ა. შ. მნიშვნელობა არა აქვს. - თუ ის შრომაა აუცილებლად გლისხმობს ასევე მისსავე შესატყვის - ჩანასახოვანს, პრიმიტიულად ასე შეიძლება შემსრულებელს - ადამიანს. მას შემდეგ რაც მას ადამიანმა მიაგნო, ნებისმიერი შრომის სახეობის არსებობა ადამიანის გარეშე სრული ფილოსოფიური ალოგიზმია, რადგან:

- შრომა შედეგია, განმაპირობებელი მიზეზი (ფაქტორი) შრომისა კი ადამიანია;
- შრომა ფუნქციაა, ფუნქციონირე კი ადამიანია;
- ადამიანი ტვინია და არა ხელები, რადგან ხელებს ტვინი ამოძრავებს;
- შრომა ტვინის ნაყოფია.

ალოგიზმი მეორე: მეცნიერულად დადგენილია, რომ ადამიანისმაგვარნი ზოგჯერ არაორდინალურ სიტუაციებში, ზოგჯერ კი უნებურად (სპონტანურად) აზრის შემცველ ქმედებებს ახორციელებენ. სრულიად მოსალოდნელია, მათ ამ ყოფით ფიზიკურ ქმედებებს აზრი აეხსა ანუ ცხოვრებისეული ქმედებანი მათნი აზრში გარდასახულიყო. არსებობს ასეთი თეორია: ფრანგული ვალონეს ფსიქოლოგიური სკოლის იდეების მიხედვით, მოხდა «ქმედებიდან აზრზე გადასვლა»; «ქმედებიდან აზრის აზრში» (რ. ნათაძე). ამ და მარქსისტული შრომის თეორიის მიხედვით, ადამიანის მეტყველება ამგვარი ქმედებებიდან ვერ წარმოიქმნებოდა, რადგან შედეგი არა გვაქვს ის, რაც ამ თეორიების მიხედვით, ამგვარი ქმედებებიდან უნდა მივიღო: ქმედებას რომ აზრი მოეცა და ამ აზრის მეტყველებითი გამოხატვა (აღნიშვნა) განხორციელებულიყო, აუცილებლად იმ ორგანოებით რა ორგანოებითაც ქმედება სრულდებოდა უნდა მომხდარიყო შესტიკულიაცია ამ ქმედებებისა. არც იმეცნიერებაში დამტკიცებულად, დასაბამიდანვე, ფიზ. მოქმედებათა უპირველესი საშემსრულებლო იარაღი ხელია, მაშასადამე, აზრის გადმოსაცემად ანუ სამეტყველოდ ხელების შესტიკულიაცია უნდა გვქმნიოდ. ეს იქნებოდა შესტიკების ენა. ხომ არსებობს კიდევ მეტყველების წარმოქმნის შესტიკების თეორია (ჟან პიაჟე), მაგრამ გარდა იშვიათი გამონაკლისისა, დღეს გვაქვს

სულ სხვა შედეგი - ესაა ბევრითი ენა ანუ ბევრებისაგან შედგენილი სიტყვებით მეტყველება.

ის ფაქტი, რომ შრომის იარაღი ადამიანის ანატომიური ორგანო ხელია, ბევრითი მეტყველებისა კი - ენა და ამ უკანასკნელს კი მიეწერება ის, რაც ხელს უნდა შეესრულებინა, არასწორია, სრული ალოგიზმია.

ალოგიზმი მესამე: თავის ტვინის ანატომიური აგებულება, მისი წარმოქმნა-განვითარების გათვალისწინება შეუძლებელს ხდის ვივარაუდოთ შრომის შედეგად მეტყველების წარმოქმნის დაშვება: შრომაც და მეტყველებაც კუნთების მოძრაობებია ანუ ნერვულ-მუსკულარული მოძრაობებია: მეტყველება არის სამეტყველო აპარატის ორგანოების მეზობლობაში ენის კუნთების სამეტყველო მოძრაობა, ხოლო ფიზიკური შრომა კი, ძირითადად, ხელების კუნთების (ნერვულ-მუსკულარული) მოძრაობებია. შრომის შემსრულებელ ორგანოებს - ძირითადად ხელებს თუ სხვა ორგანოებსაც შრომაში მონაწილე საყრდენ-მამოძრავებელი აპარატიდან და ასევე სამეტყველო ორგანო ენას თავის ტვინში გაანთით თავიანთი სამმართველოები, საიდანაც იმართებიან. სპეციალურ ლიტერატურაში მათ საანალიზო ცენტრებს ანუ ანალიზატორებს უწოდებენ. თუ გამოვირიცხავთ მთლიან მაკოორდინირებულ ნართულობას (ქერქქევაში თუ ქერქქელ ბოლოსი) თავის ტვინისა, ისინი დამოუკიდებელი (ავტონომიური) არიან: ხელების მოძრაობის ცენტრი (მოძრაობის ანალიზატორი ანუ მოსკოვის ტვინის ინსტიტუტის მიერ დადგენილ ტვინის ციტარაქტიკტორურ რქაზე ველი ნომერით 6) ვერ განახორციელებს ენის მოძრაობებს და პირიქით - ენის (მეტყველების) ცენტრი (ველი ნომერ 44-45) ვერ განახორციელებს ხელების კუნთების (მუსკულარულ) მოძრაობებს.

მეტყველების ჩასახვა იწყება იმ პერიოდში, როცა ენის სამეტყველოდ ამოძრავებელი ცენტრი ანუ მეტყველების ცენტრი ჯერ არ არსებობს. ის ჯერ უნდა ჩაისახოს, რომ ენამ სამეტყველო მოძრაობები გააკეთოს. ამიტომ, იმ ეტაპზე, ენას გარდა კვებითი მოძრაობებისა, სხვა (სამეტყველო მოძრაობები ანუ არტიკულაციები) ვერ ძალუძს. ამ პირობებში განა ცხადზე უცხადესი არაა, რომ ენის სამეტყველო მოძრაობებს (არტიკულაციებს), სანამ მეტყველების ცენტრი არ ჩაისახება, ვერაფერი ვერ შეძლებს; რომ, საპირისპიროდ მარქსისტული თეორიისა, ვერც შრომითი ქმედებიდან აზრის მოცემა ან შრომითი კავშირების მოთხოვნილების არსებობა, ენას სამეტყველოდ ვერ ამოძრავებს.

უძველეს წარსულში, მთლიანად თავის ტვინი და მისი ქერქის სრულიად მობილიზებული მაკოორდინირებელი საანალიზო სიტემა დღევანდელი მაღალი განვითარების რომც ყოფილიყო, უძღური იქნებოდა ენა ანუ მოქმედებინა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეტყველების ცენტრი ჯერ არ იყო ჩასახული. ამ შემთხვევაში, განა ალოგიზმი არაა საწინააღმდეგოს დაშვება?..

თუ უპირატესად ხელის მოძრაობებმა განაპირობეს მეტყველების ჩასახვა და განვითარება რატომ არ პოვა, ასეული ათასწლეულების მანძილზე, ამ ფაქტმა შესაბამისი ასახვა თავის ტვინის განვითარებაში (ციტო-არქიტექტონიკაში)?..

ჩვენი აზრით, ხელის მოძრაობის ცენტრი (ანალიზატორი) რომ ყოფილიყო განმსაზღვრელი მეტყველების ჩასახვა-განვითარებისა, ამ ხნის მანძილზე, იქვე პოვებდა მეტყველების ცენტრი (ანალიზატორი) თავის ადგილსამყოფელს (მეექვსე ველზე და არა 44-45 ველზე ციტო-არქიტექტონიკური რუქისა).

ცხოვრებისეული (თუ შეეხებოდა პირობით-რეფლექსური) შრომითი ქმედებებიდან მოძრაობის ცენტრის და თვით ხელის განვითარება სავსებით ბუნებრივია. რაც ასეც მოხდა. ამიტომაც ითქვა: შრომის იარაღი ხელია შრომის პროდუქტიც არისო. ვერვც უნდა მომხდარიყო ენისა და მისი სამეტყველო-მამოძრავებელი ცენტრის შემთხვევაში. ენა და მისი მამოძრავებელი ცენტრი უნდა განვითარებინა ენის იმგ-

ვარივე ბუნებრივ მოძრაობებთან შესაბამეულ ახალ პირობით-რეფლექსური ბუნების მოძრაობებს, როგორც ეს მოძრაობის ცენტრისა და ხელის შემთხვევაში მოხდა, მაგრამ არა - თვით ხელის მოძრაობებს ანუ შრომას. ამაშია ამ მესამე ალოგიზმის არსი.

სოც. თეორიებს იზიარებდნენ ისტორიკოსები, ენათმეცნიერნი და ა. შ. მაგრამ ამასვე აკეთებდნენ ფსიქოლოგნი, ბიოლოგნი და, თქვენ წარმოგიხსენებთ, ფიზიოლოგნიც (მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატი ი. პ. პავლოვი, ცნობილი ნევროლოგი ვ. ვ. მიხევევი, შესანიშნავი ფსიქოლოგი რ. ნათაძე, ფენომენალური ენათმეცნიერი ნ. მარი და ა. შ.).

ალოგიზმი მეოთხე: ფიზიოლოგიურ ასპექტში მეტყველება და შრომა პირობით-რეფლექსური ბუნებისანი არიან. ისინი მემკვიდრეობით არ გადაეცემათ და, ამიტომ ადამიანმა ცხოვრების მანძილზე უნდა შეიძინოს - ისწავლოს. თუ ბევრა აღმნიშვნელია, ნიშანია ანუ სიტყვაა და იმავდროულად პირობით-რეფლექსური ფენომენია რაც, ფიზიოლოგიაში, როგორც აქვე ითქვა, დადგენილია, ეს იმას ნიშნავს, იმისათვის რომ ის (სიტყვა), როგორც პირ. რეფლექსი აღმოცენდეს პირობითი გამლიზიანებული, ყოველ მიზეზგარეშე, უნდა იყოს ბევრა.

მეოთხე ალოგიზმის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შრომის პრცესში დაკავშირების მოთხოვნილება არაა ბევრა (არც რაიმე სუბსტანცია) ამიტომ ბევრით პირ. რეფლექსს, ვერანაირად, ვერ აღძრავს.

ალოგიზმი მესამე: კ. მარქსი წერდა: «...ობობა ასრულებს მქსოველის მსგავს ოპერაციებს. ფუტკარიც თავისი ცვილის უჯრედების აშენებით, არცხვენს ზოგიერთ ადამიანებს - არქიტექტორებს. მაგრამ ყველაზე უარესი არქიტექტორი საუკეთესო ფუტკარისაგან თავიდანვე განსხვავდება იმით, რომ სანამ ცვილისაგან უჯრედს ააშენებდა მან ის უკვე თავის თავში გააკეთა...» დ. ნ. მ. გვ. 189.

ამ ციტატიდან აშკარად ჩანს, რომ ქმედება რომელსაც ამ შემთხვევაში ადამიანი ასრულებს, ცნობილია. იმას, რასაც წინასწარ წარმოდგენაში უნდა ააშენო, მაღალი დონის ფსიქოანალიზი ჭირდება. აქ, ცხადია, საკმარისი არაა ქმედებათა მხოლოდ საგნობრივი წარმოდგენები, არამედ შესასრულებელია წყება მაღალი დონის ფსიქოაქტებისა. ამგვარი შრომა ხომ თავის თავში გულისხმობს მიზნობრიობას (მიზანშეწონილობას, მიზანმიმართულებას, საბოლოო მიზანსახვას ანუ პროგრამირებას) და შესატყვისი უმადლესი რანგის მეტყველებითი ფსიქოაქტების ანუ აბსტრაქტული მეტყველების გარეშე შესრულებადია. როცა ვთქვით მეტყველებითი ფსიქოაქტიობა, ვიგულისხმებთ ის, რომ ადამიანი იმას რაც უნდა ააშენოს «წინასწარ თვის ტვინში წარმოდგენაში აშენებს» სიტყვებით ანუ მეტყველებით. ეს ურყევი ფაქტია და ამიტომ ჯერ იყო მეტყველება, მერე მხოლოდ და მხოლოდ ამ გაცნობიერებულ აზროვნება-მეტყველების შემდეგ, გახდა შესაძლებელი გაცნობიერებული ქმედება ანუ შრომა.

პარადოქსია, თუ როგორ დაუშვა ლოგიკურმა მეცნიერულმა აზროვნებამ იმის უგულვებელყოფა, რომ შრომა გაცნობიერებული პროცესია, ამიტომ მაღალი რანგის აზროვნება-მეტყველების გარეშე ვერაფრის დიდებით ვერ განხორციელდებოდა.

ამგვარად, შრომამ კი არ შექმნა ადამიანი, არამედ პირიქით - უმარტივესმა დასაბამისშიერმა მეტყველებამ, ასეული ათასწლეულების მანძილზე, განავითარა თავის ტვინი და შექმნა ადამიანთა შორის დაკავშირების შესაძლებლობა, ურომლისოდაც შრომა არ არსებობს. ასე რომ მეტყველებამ შექმნა შრომა და არა პირიქით. ხოლო თუ როგორ წარმოიქმნა თავად მეტყველება, აზროვნება და, ასევე, სხვა მრავალ სიახლეთა შესახებ, დაინტერესებული მკითხველი იხილავს ზემოთხსენებულ საიტზე.

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას დიდი ფეხბურთელი დიდი ფეხბურთიდან ნავილა...

31 მაისს საქართველოს დედაქალაქში ნამდვილი "ვარსკვლავთცვენა" იყო. ერთდროულად ამდენი ფეხბურთის გრანდი საქართველოს დედაქალაქს არასოდეს სწევია, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ კახი კალაძე თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი კასკადი ვარსკვლავი გახლდათ.

მან თბილისის "დინამოს" არენაზე მორიდებით შემოაბიჯა, მაგრამ ყველა მალე დაარწმუნა, რომ მისგან დიდი ფეხბურთელი დადგებოდა. მართლაც, სულ რამდენიმე წლის შემდეგ კახიმ ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს სახელგანთქმული საფეხბურთო მოედნები და ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი მსოფლიო ფეხბურთის მატინაჟში.

მართლაც გულისამაწყებელი გახლდათ მთლიანად ფეხბურთის გამოსამშვიდობებელი მატინი და კახის გაცილებით დაუიწვარი ცერემონია, რომელსაც ფეხბურთის სპეციალისტების გარდა ესწრებოდნენ სპორტის ამ სახეობის ერთ-ერთი გულშემატკივრები, საქართველოს მთავრობის წევრები, მსოფლიოში ცნობილი მწერტნელები...

სევედისმოგვრელი იყო ისიც, რომ ხან-შიშესული უცხოელი თუ ქართველი ფეხბურთელები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მინდვრის ფარგლებიდან დაფრინდნენ ფეხბურთის მოედნებზე, ძლივს ეწეოდნენ ჩამოწოდებულ ბურთს და აშკარად უჭირდათ არამც თუ ჩქარი, არამედ ნელ ტემპში სირბილიც კი. იყო აღტაცებული გულშემატკივრის ომახიანი შეახილი, გამამხნეველი ეპითეტები, იყო ფეხბურთელი და იყო ცრემლები, რადგან ფეხბურთელისთვის ძნელია თავის განებება იმ საქმისათვის, რასაც მთელი სიყმაწვილე და ახალგაზრდობა მოახმარა, ფეხბურთის მოყვარულს კი დასამშვიდობებლად არ ემეტება ის დიდოსტატი, რომლის მსგავსი, არავინ იცის, კიდევ გამოჩნდება თუ არა მოედანზე.

რას იხამ - დრო სწრაფმავალი და უღმობელია და მისი საკუთრებიდან არაფერი

ეთმობა თვით სახელგანთქმული ადამიანებისთვისაც კი...

კახი კალაძის გაცილებით მატინის შემდეგ, "დინამო არენას" მედიაცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა. შურნალისტებთან წარსდგნენ ახლო წარსულში "მილანის" შესანიშნავი მოთამაშეები: დანიელე მასარო, მასიმო ოდო და ბლოდი, განუყოფელი პაოლო მადლინი. ქართველთან კი პატივი შოთა არველაძემ, მატინის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, დავით მუჯირმა და რა თქმა უნდა, თავად კახი კალაძემ დაგვედეს:

დანიელე მასარო: თბილისში არასოდეს ვყოფილვარ და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩამოვედი. "კალა" მართლაც განსაკუთრებული ადამიანია, ფანტასტიკური საფეხბურთო კარიერის შემდეგ, კვლავ წარმატებულად აგრძელებს ცხოვრებას, ოდნოდ ამჯერად აბსოლუტურად განსხვავებულ სფეროში. დღევანდელი სახე სტადიონიც ამის დასტურია.

მასიმო ოდო: უპირველესად, დიდი მადლობა მინდა გადავიხადო შურნალისტებს. ჩვენი პირველივე პრესკონფერენციიდან მოყოლებული, იგრძნობდა თქვენი დიდი თანადგომა და უთქვენოდ, ალბათ, ძალიან გამოჭირდებოდა ამ დონისიბების ორგანიზება. ასევე დიდი მადლობა ჩვენს მეგობრებს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ. როცა კახამ თავისი გაცილებით ორგანიზება მოხერხა, ვუთხარი, რომ საქმეს ისე მოვეკიდები, თითქოს საკუთარ გაცილებას ვაკეთებდე მეოქი.

სახიხარულაა, რომ ეს დღე შედგა. ყველაფერი კარგად დაიწყო და დადებითი ემოციებით დამთავრდა. ვფიქრობ, ქართველ გულშემატკივრებს დიდ ხანს ემასხორებათ ეს მშვენიერი საღამო. მადლობა სტადიონზე მოსულ ყველა ქომაგს, მადლობა სტურებს. სხვათა შორის, ამ დონისიბებაზე ერთგვარი არაოფიციალური რეკორდიც დამყარდა, თამაშამდე 5 დღით ადრე. ვაქტობრივად, ბილეთები აღარ დარჩა. ასევე მადლობას ვუხდებ სპონსორებს, რომლებსაც ამ დღეებში

თითქმის არ ეძინათ და ურთულესი სამსახური გასწევს.

შოთა არველაძე: მთავარი ის არის, რომ კახი გამარჯვებული ადამიანი და ყველასთვის სამაგალითოა. მან არაერთი რთული პერიოდი გამოიარა ცხოვრებაში და არა მარტო ფეხბურთში, ამიტომ ის იმის მაგალითიცაა თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ადამიანი დიდ პრობლემებს და საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგაც ასე წარმატებულად გააგრძელოს ცხოვრება და მოღვაწეობა. მადლობა მას, რომ ყველას დაანახა, როგორ ფასდება ჩვენში ღირსეული ადამიანი, ნიჭი და შრომა. მადლობა სტურებს. მერწმუნეთ, ასეთი რანგის ხალხის ჩამოყვანა იოლი საქმე არ არის. ამას დიდი ავტორიტეტი სჭირდება. კახი დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ელჩი იყო ევროპაში და მან ეს ყველაფერი დაიმსახურა.

მასიმო ოდო: რამდენჯერმე ვიყავი საქართველოში იტალიის ნაკრებთან ერთად, მაგრამ სტადიონზე ამდენი ხალხი არ მახსოვს. "კალა" დიდებული ფეხბურთელი იყო და ნამდვილად დაისახურა ეს ხეიმი.

პაოლო მადლინი: ბედნიერები ვართ, რომ "კალას" გაცილებას ჩამოვედით. სახე ტრიბუნები კიდევ ერთი დასტური იყო იმისა, თუ როგორ უყვართ გულშემატკივრებს კახი. მოხარული ვარ, რომ მისი მეგობარი მქვია.

კახი კალაძე: მინდა მადლობა გადაუხადო სრულიად საქართველოს, ჩემს ერთგულ გულშემატკივარს. მართლაც ძალიან ემოციური დღეა ჩემთვის. უბედნიერესი ადამიანი ვარ, რადგან კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როგორ უყვარვარ ქართველ ქომაგს. მადლობა მათაც, ვინც დღეს სტადიონზე მოსვლა ვერ მოახერხა და პირდაპირ ეთერში უყურა მატჩს. მადლობა თქვენ შურნალისტებს, უთქვენოდ ასეთ წარმატებას ვერ მივაღწევდი. სწორედ ქართველი ხალხის დიდმა სიყვარულმა შემაძლევინა ყველაფერი. სხვაგვარად არაფერი გამომივიდოდა. როცა

"მილანის" თუ ნებისმიერი სხვა კლუბის მისურით გამოვიდოდი, ვიცოდი, რომ ჩემს უკან საქართველო იდგა, მაქსიმალურად ვცდილობდი ჩემი ქვეყნის სახელი გამეტანა ევროპაში და ყველას გავეო საიდან ვიყავი.

35 წლის კახი კალაძე საფეხბურთო კარიერის განმავლობაში თბილისის "დინამოში", კიევის "დინამოსა" და იტალიურ "მილანში" გამოდიოდა. საქართველოს ნაკრებში მას 83 შეხვედრა აქვს გამართული.

თბილისის "დინამოს" სტადიონზე გამართული კალაძის ფეხბურთიდან გაცილებით მატინი "კალაძის მეგობრებსა" და იტალიის "მილანს" შორის, იტალიელი ვარსკვლავების გამარჯვებით 3:1 დასრულდა.

მატჩზე, ისეთი რანგის ქართველი და იტალიელი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც ფრანკო ბარეზი, პაოლო მადლინი, ფაბიო კანავარო, ანდრეი შევჩენკო, სებასტიანო როსი, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გონა ჯამარაული და სხვა ცნობილი ფეხბურთელები არიან.

იტალიის "მილანში" კი 284 შეხვედრაში კახის ანგარიშზე 13 გოლია.


ა. ბულისაშვილი



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიკა - XXI საუკუნის საუკეთესო მემწამირი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



„დათა ახალაია შვანის მკვლელობასთან სააკაშვილისა და მერაბიშვილის კავშირს აღსატურმს“

პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, დათა ახალაიას ჰქონდა ინფორმაცია, რომ ვანო მერაბიშვილი ციხეში ბაიო ახალაიას ლიკვიდაციას გეგმავდა. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი იმისა, რომ დათა ახალაია სოცქსელში ცნობილი განცხადება გაავრცელა. ამის შესახებ გახუთს ახალაიების ნათესავმა განუცხადა, რომელიც 2005-12 წლებში პროკურატურის თანამშრომელი იყო.

„დათა ახალაია სამართალდამცველებს მიაწვდის ისეთ ღირებულ მტკიცებულებებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებზე, რომ ახალი ხელისუფლება, საგარეოდ, ახალაიებს ბრალს შეუმსუქებს. რაც შეეხება კონკრეტულ მსალეებს, რომლებიც აქვს დათა ახალაიას, მე, როგორც იურისტი, არ ვიქნები მართალი, მოგაწოდოთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც გამოძიებას დააზარალებს. ვიტყვი მხოლოდ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, რომლის შესახებაც დათა და ბაიო ახალაიებმა ძალიან ბევრი იცინან და აქვთ მტკიცებულებანი. ეს გახლავთ ზურაბ შვანის საქმე“, - აღნიშნავს შურნალისტებთან საუბრისას რესპონდენტი.

მისივე თქმით, „ძალიან მალე შვანის მკვლელობის საქმე გაიხსნება და გამოძიებას ექნება მტკიცებულება მასთან მიხედვით სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის კავშირის შესახებ“.

წყაროს განმარტებით, დათა ახალაია, მისი განსხვავებით, არ ენდო სააკაშვილისა და მერაბიშვილის დაპირებებს, რომ ნებაყოფლობით ჩაბარებოდა სამართალდამცველებს. ხოლო როცა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მან თავი ჯერ ეკლესიას შეაფარა, ხოლო შემდეგ საქართველო დატოვა.

„საკაშვილი პრეზიდენტად აირჩია სამეგრელომ, მას ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მისცა ხმა. ამ ყველაფერს ორგანიზებას უწევდა როლანდ ახალაია და მისი მთელი სანათესაო. ახლა კი გამოდის პრეზიდენტი და აცხადებს, ახალაიებს ახლოს არ ვიცნობო. რა თქმა უნდა, მძები ახალაიები უნდა დაისაჯოს ყველა იმ დანაშაულისთვის, რაც მათ ჩადიდნენ, მაგრამ ასევე პასუხი უნდა ავონ მიხეილ სააკაშვილმა და ვანო მერაბიშვილმა“, - დასძენს რესპონდენტი.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია იუწყება, რომ 71 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ამავე ორგანიზაციის წევრი, ჭეშმარიტი ზუგდიდელი და გულანთებული მამულიშვილი **ბურამ (მურმან) ვეკუა** და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბამოშიდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" სამეცნიერო-კულტურული და ლიტერატურული შურნალ "აია"-ს 2013 წლის პირველი ნომერი. მთავარი რედაქტორი ბიორბი სიჭინავა. შურნალი შეგიძლიათ შეიძინოთ ზუგდიდში (რუსთაველის ქ. №68), სენაპში, ჟალნაქსაში, ჩხორიწყობში, მარტვილში და ახალაიაში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" წარმომადგენლებთან. თბილისში - ტაშაშენის ქ. №25, I სართავაზო, ბინა, 1. **შასი 4 ლარი**

იუმორი

სასტუმროს კარზე ვიღაც აბრახუნებს. მეგრელი დაფეთებული წამოვარდა ლოგინიდან: - ვინ ხარ და რა გინდა ამ შუადამისას? - ხანძარი, სასტუმრო იწვის! - მეგრე რომელი მეხანძრე მე მნახეთ? - უპასუხა მეგრელმა და ძილი გააგრძელა. * * *

დილას სკოლის მოსწავლე გოგონამ გაიღვიძა და საათს დახედა: - უი! სკოლაში დავაგვიანე. მაშინ, სახლში წავალ! * * *

- გუშინ ზედმეტი მოგვივიდა. გახსოვს, წერტილფეხება ლიმონმა რომ გაიბრინა? - ეს შენ ჩააგდე ჩაიში ჩემი იადონი? მე შენი... * * *

ქალი ქმრის სანახავად ციხეში მივიდა: - აქ როგორ გრძნობ თავს? - როგორც სახლში, არც გასვლა შეიძლება სადმე და არც საჭმელი ვარგა... * * *

ქმარი ეკითხება ცოლს: - კიდევ არაა ვახშამი მზად?! მე რესტორანში მივიღვივარ! - ხუთი წუთი მოითმინე. - მზად იქნება? - არა, მეც წამოვალ... * * *

ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული**
სარეგ. №01018002930
 234 - 32 - 95

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**
 ტექნიკური რედაქტორი: **მიხეილ ჩოლოქიშვილი**
 ბაზეთის მენეჯერი: **ზურაბ ქობალაია 599-34-37-27**
სარედაქციო საბჭო: **ზაურ ბახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, ბივი სომხიშვილი, დავით ქობალაია, ბიორბი სიჭინავა, ნუზარ სალაყაია (ბალი)**

გახეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.SAQINFORM.GE**